

K 54.559

3

სახლოეთ პირებით მავა
შეადგინები გამოკრატია

აღ. გრიბოედოვი

ვაი ქაუისაგან

ს ს ხ ი დ ა დ ა ნ

891 H-2
ს ა ს ე თ წ ი ს 8 0 2 წ 0 3 თ 0 3 5



ა. ს. გრიგორელოვი

კ ა ტ ჰ ე ლ ი ს ა გ ა ნ

კომედია ოთხ მოქმედებად

მიორი გამოცემა

მროფ. ს. დანილიძე რედაქტორ, წინასირყვაობით და
კომენტარიებით.

152/559
3.



ს ა ს ე თ წ ი ს 8 0

ტფილისი 1937

ა. ს. გრიგორედოვი და მისი პოემი „ვაი ჰეზისაგან“.

რუსეთის დიდ მწერალთა შორის არც ერთი არ ყოფილა ბოო-
კრაფიულად ისე დაახლოვებული ქართველებთან, როგორც აღმა-
სანდრე სერგეის ძე გრიბოედოვი. თავისი ცხოვრების საუკეთესო
წლები გრიბოედოვმა საქართველოში გაატარა. უდიდესი მისი თაზუ-
ლება „ვაი ჰეზისაგან“, რომელიც მთელი რუსული ლიტერატურის
სიამაყეს შეადგინს, უმთავრესად საქართველოს დედაქალაქში დაი-
წერა. დაბოლოს, ჩვენს დედაქალაქში იპოვნა გრიბოედოვმა სამა-
რადისო საყუდარი — მთაწმინდაში, ბევრი გამოჩენილი ქართველი
მოღვაწის გვერდით.

ალექსანდრე გრიბოედოვი დაიბადა ქ. მოსკოვს 1795 წელს, მდი-
დარი და გვაროსანი მემამულის ოჯახში. კარგი შინაური აღზრდის
შემდეგ, ის შედის ჯერ მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ პანსი-
ონში, შემდეგ კი თვით მოსკოვის უნივერსიტეტში ფილოსოფიური
ფაკულტეტის ეთიკურ-პოლიტიკურ განყოფილებაზე და გულმოდ-
გინედ ეწაფება მეცნიერებას, განსაკუთრებით რუსეთის ისტორიას.
1812 წელს, როდესაც ნაპოლეონის ჯარების შემოსევის გამო რუ-
სეთში იფეთქა ნაციონალური თავდაცვის მხურვალე გრძნობამ,
გრიბოედოვსაც გაიტაცებს სახალხო მოძრაობა და ის მოხალისედ
ჩაეწერება კავალერიის ერთეულთ ათასეულში. ნაპოლეონთან ომის
სრული ლიკვიდაციის შემდეგ, გრიბოედოვი 1816 წელს ანგებს
თავს სამხედრო სამსახურს და შედის პეტერბურგში საგარეო საქმეთა
უწყებაში. გრიბოედოვი ტრიალებს ამ დროს პეტერბურგის თეატ-
რალურ-ლიტერატურულ წრეებში და დაუახლოვდება თავისი
დროის გამოჩენილ დრამატურგებს — შახოვსკის, კატენის, ხმელ-
ნიცის, ზაგორისკინსა და უანდრას. 1817 წელს, კატენინთან ერთად,
გრიბოედოვი სწერს კომედიას „სტუდენტი“, რომელიც მიმართუ-
ლი იყო კარამზინის მიერ ლიტერატურაში შემოღებულ სენტი-
მეტალური მიმდინარეობის წინააღმდეგ. კატენინი, ხმელნიცი და
შახოვსკი ფსევდოკლასიკურ სკოლას ეკუთვნოდნენ, და გრიბოე-
დოვის ორიგინალური ლიტერატურული ნიჭიც, ამ სკოლის ატმოს-
ფეროში მწიფდებოდა. მონაწილეობას იღებდა გრიბოედოვი აგრე-
თე აღმიჩალ შიშკოვის ლიტერატურულ წრეში, თუმცა მის ჩეაქ-

ციულ-ნაციონალისტურ სამწერლო პლატფორმას კრიტიკული და თავისი საკუთარი შეხედულება ჰქონდა, როგორც პოეზიაზე, ისე პოეტის მოვალეობაზე. ამ მოვალეობას გრიბოედოვი ხედავდა საზოგადოებრივი ცხოვრების მიერ დაყენებულ საჭიროობო როტო საკითხებზე პასუხის გაცემაში და უწინარეს ყოვლისა მოითხოვდა მწერლისაგან სინამდვილის კეშმარიტ ასახვას.

— 1818 წელს გრიბოედოვი დანიშნეს მდივნის თანამდებობაზე რუსეთის აწმუნებულთან ირანში. ის ჩამოდის ჯერ ტფილისში და აქედან 1819 წელს მიემგზავრება ირანში. 1821 წელს გრიბოედოვი გადამოიყვანეს ტფილისში მეფის მოადგილე ერმოლოვის კანცელარიაში. აქ ის დაუახლოვდა ადგილობრივ არისტოკრატიას და ენერგიულად მუშაობდა თავის კომედიაზე „ვაი ჭეკისაგან“, რომლის გეგმა მას ჯერ კიდევ 1816 წელს ჰქონდა შედგენილი. ამ დროს გრიბოედოვის პიროვნება უკვე ჩამოყალიბებული იყო. ბავშვობიდანვე მიღებულმა გამოცდილებამ აღზარდა გრიბოედოვი თამამ პროტესტანტად ადამიანის დამონების წინააღმდეგ. მის წარმოდგენაში ბარონებურ-თვითმპურობელური რუსეთი იყო მტკიცე ნიადაგს მოქლებული „ვაობის სახელმწიფო“, რომლის მომავალი მას ძალიან პესიმისტურ აზრებს უღიძებდა. გაცილებით მეტ სიმბათიას იწვევდა გრიბოედოვში ძველი რუსეთი — რუსეთი თავისუფალი ნოვგორიდის და დიდი კიევის დროისა, რომელიც ჯერ კიდევ არ იცნობდა ორც ბარონებობას და ორც თვითმპურობელობას და რომლისათვეს უცხო იყო ევროპული განათლების მიერ შექმნილი დისონანსები. ამ უკროპული განათლების გადმოტანით პეტრე პირველმა, გრიბოედოვის აზრით, ზიანი მიაყენა რუსეთის მაღალ საზოგადოებას, რომელიც მოსწყდა ამის გამო თავის ბუნებრივ საფუძველს, მოსწყდა მდაბიო ხალხის მასას, და იწყო გადაგვარება. გრიბოედოვი სკეპტიკური თვალით უკეროდა ამ „მაღალ“ საზოგადოებას, რომელიც მის წარმოდგენაში გაცილებით უფრო დაბლა იდა შორალურად, ვიდრე გაუნათლებელი მდაბიო რუსის ხალხი ან კაფკასის მთიელთ პრიმიტიული ტომები. აღსანიშნავია, რომ გრიბოედოვი არ თანაუგრძნობდა თვითმპურობელური მთავრობის მიერ წარმოებულ ომს კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ, რომლებიც; გრიბოედოვის აზრით, სრულიად სამართლიანად იცავდნენ საკუთარ თავისუფლებას „ბარაბნული განათლებისაგან“. ასეთი მაღალი და მიუდგომელი შეხედულება იმღრიინდელ პოლიტიკურ ამბებზე არ ჰქონდა რუსეთის ორც ერთ მოწინავე პიროვნებას — თვით პესტელი, თვით პუშკინსაც. შეიძლება ითქვას, რომ თავისი მსოფლმხედველობის სიფართოვით გრიბოედოვი მოგვაგონებს ლუკ ტალსტოის, რომ

ლის კალამს ექუთვნის სხვათა შორის მოთხოვბა „ჰავი მურატი“ და რომელიც დაუზოგველი სითამამით აკრიტიკებდა „განათლებულ“ საზოგადოებას, რათა დაეცა მისგან იდამიანის თავისუფლება, იდეოლოგიური წყარო ამ კრიტიკისა დასავლეთ ეგრძობის რომანტიკის მწერალთა (რუსო, გორტე, ბაირონი და სხვ.) თხსულებებში არის საძიებელი: გრიბოედოვიც კარგად იცნობდა ამ მწერლებს და განსაკუთრებით უყვარდა ბაირონი.

თავისი მსოფლმხედველობის მთავარი აზრები გრიბოედოვმა შესძლო დიდი ოსტატობით ჩამოყალიბებია კომედიაში „ვაი ჭიუისაგან“. მნიშვნელოვანი ნაწილი ამ კომედიისა ტფილისში დაიწერა 1821 — 1822 წლებში. 1823 წელს გრიბოედოვს მოეცა შეეპულება და ის გაემგზავრა მოსკოვში. 1824 წელს გრიბოედოვი კითხულობდა ლიტერატურულ წრეებში თავის კომედიას, რომელიც ამ დროს უკვე დასტულებული იყო.

კომედია ძალიან მოწონათ რევოლუციონურად განწყობილ საზოგადოებრივ ელემენტებს (გავიხსენოთ, რომ ამ დროს მზადდებოდა რუსეთში დეკაბრისტული ჯანყება), და ვინაიდან ცენზურა არ იძლეოდა ამ კომედიის არც სცენაზე დადგინდა და არც სრულად დაბეჭდვის ნებართვას, ის გაერცელდა ხელნაწერების სახით, და შალე ყოველმა განათლებულმა კაცმა იცოდა იგი თითქმის ზეპირად. ამ გარემოებას არ შეეძლო ეჭვი არ გამოეწვია მთავრობის წრეებში, და როდესაც 1825 წელს დეკემბრის გამოსვლა დამარცხდა და ნიკოლოზ პირველი შეუდგა თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგებთას ანგარიშის გასწორებას, დაპატიმრებულ იქნა 1826 წელს ქ. გრიზნაში გრიბოედოვიც, რომელსაც მრავალი პირადი მეგობარი ჰყავდა დეკაბრისტებს შორის (კუხელბეკერი, ბესტუევი, ოდოვესკი და სხვ.). დაპატიმრებული გრიბოედოვი წაიყვანეს პეტერბურგში, მაგრამ გამოიძიების დროს გამოირკვა, რომ დეკაბრისტულ შეთქმულებაში გრიბოედოვს არაეგითარი მონაწილეობა არ მიუღია, მიუხედავად იმისა, რომ ის გაბატონებულ სოციალ-პოლიტიკურ სისტემას კრიტიკულად უცემეროდა და საჭიროდ თვლიდა არსებითი ცელილების შეტანას ბატონყმურ-თვითმპყრობელურ წესწყობილებაში.

რამდენიმე თვის პატიმრობის შემდეგ გრიბოედოვი 1826 წლისა 4 იქნის გათავისუფლეს და საქართველოში დააბრუნეს თავის სამსახურზე. ამ დროიდან იწყება გრიბოედოვის სწრაფი დაწინაურება ბიუროკრატიულ ასპარეზზე. 1827 წელს გრიბოედოვს მიანდევს დოპლომატიური საქმეების წარმოება ირანთან და თურქეთთან. 1828 წელს გრიბოედოვმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თურ-

ჭანჩაის ხელშეკრულების დადგებაში რუსეთსა და ირანს შორის ჯილდოდ ასეთი მუყაითობისათვის გრიბოედოვი (მისი სიძის, მთავარისარდალ პასკევიჩის რეკომენდაციით) დაინიშნა რუსეთის ეკიატერინბურგის მისახურისათვის და ლიტერატურულ მუშაობას მისცემოდა სრულიად. ირანში გამგზავრების წინ გრიბოედოვი დაქორწინდა საქართველოს ცნობილი მწერლის ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილს ნინოზე. ამ უკანასკნელთან ერთად ის მიღის თავრიზში, სადაც დროებით დატოვებს თავის კოლს, ხოლო თვითონ მიემგზავრება თეირანში თავისი საშამახურის შესასრულებლად. დიდი ხანი არ გაგრძელებულა ეს სამსახური: 1829 წლის იანვრის პირველ რიცხვებში გრიბოედოვი ჩავიდა თეირანში, ხოლო 30 იანვარს იგი მოპკლეს მისი მოღვაწეობით უქმაყოფილო ირანებმა. რამდენიმე თვის შემდევ გრიბოედოვის ცხედარი ჩამოასვენეს ტფილისში და მამადავითზე დაასაფლავეს.

გარდა ზემოთ დასახელებულ თხზულებისა, გრიბოედოვის კალამს ეკუთვნის კიდევ ფრანგულიდან გადმოკეთებული ვოდევილები, რამდენიმე ლექსი და ერთი დაუმთავრებელი ტრაგედია „ქართული ლამე“, რომელიც შექმნირის გავლენას ამჟღავნებს. მაგრამ გრიბოედოვის არც ერთი თხზულება არ შეეძრება მის კომედიას „ვაი ქუთისაგან“.

მთავარი მომქმედი პირი ამ კომედიისა არის ალექსანდრე ანდრიას ძე ჩაცკი — პეტრი და კარგად განათლებული ახალგაზრდა ვაკი, რომელიც ვერ შეეგუა თავის საზოგადოებრივ წრეს. მთელი კომედია აგებულია მოსკოვის გახრეწილ მაღალ საზოგადოებასა და კეთილშობლური მისწრაფებებით გატაცებულ ჩაცკის შორის არსებულ წინააღმდეგობაზე. ამ ორი ძალის შეტაკება წარმოადგენს კომედიის ღერძს და მისი დრამატურგის წყაროს. ღრამა იწყება უცხოეთიდან დაბრუნებული ჩაცკის ჩამოსელით მოსკოვში. უწინარეს ყოვლისა ჩაცკი მიაშურებს თავისი შორეული ნათესავის, ფამუსოვის, ოჯახს. ფამუსოვს დიდი ჩინოვნიკის თანამდებობა უკირავს მოსკოვში. ის ითვლება იქაური მაღალი წრის თვალსაჩინო შევრად, საზოგადოების ბურჯად. მას ჰყავს ქალიშვილი ხოფილ, რომელიც ჩაცკის თითქმის ბავშვობიდანევე უყვარდა და რომელსაც ჩაცკიც უყვარდა თავის მხრივ. სწორედ სოფიოს სიყვარულმა მიიზიდა

¹⁾ ამ ხელშეკრულების ძალით რუსეთმა შემოიტო ირანის პრივანტი (ერევნისა და ნახიჩევნის სახანები) და დაადგა ირანს 20 მილიონი მანეთის ხარკი.

ჩაცკი ფამუსოვის ოჯახისაკენ. მაგრამ როდესაც ჩაცკი უცხოეთში იმყოფებოდა, სოფიოს გამოუდია ცელილება: სოფიოს შეპყვარებია მისი მამის ხელქვეითი მოხელე, ვინმე მოლჩალინი. ეს მოლჩალინი ვაიძევრა კაცია: სიღარიბეში გამოზრდილი, ის ცდილობს როგორმე დაწინაურდეს ცხოვრებაში და მოიპოვს მტკიცე ნიადაგი არსებობისათვის. ამ მიზნის მისაღწევად კი მოლჩალინი არ ზოგავს არაფერს და მზად არის მიმართოს არასაკადრისს მლიქენელობას, პირმოთნეობას და ამის მსგავს სხვა საშუალებებსაც. პირად ლირსების შეგნება მოლჩალინის არ იქნება. მას აზრადაც არ მოსდის, რომ მიუხედავად თავისი სიღარიბისა და დაბალი თანამდებობისა, ის მაინც აღამინია და, როგორც აღამიანს, უფლება აქვს წელგამართულად იცხოვროს. მოლჩალინის დევიზია — ასიამოგნოს ყველას, ვისაც კი შეუძლია რაიმე სარგებლობა მოუტანოს მას თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. აი ეს ანტისოციალური და მავნებელი ადამიანი ახალგაზრდა სოფიომ გულუბრიყვილოდ მიამსგავსა სენტიმენტალურ არმანებში გამოყვანილ კეთილშობილ გმირებს, არმლებიც უანგარო ჰიყვარულით სავსე არიან ადამიანის მიმართ. მოლჩალინის პირმოთნეობა გამოუყდელმა სოფიომ გულის სიწმინდედ ჩათვალი და ვერ შენიშნა, რომ ეს გულის სიწმინდე კი არა, გულის სიმდაბლე იყო.

სოფიოსთან პირებელი შეხვედრისთანავე ჩაცკი შეატყობნს, რომ სოფიო მისი საყვარელი უწინდელი სოფიო არ იყო, და ამ აღმოჩენამ დააკარგინა ცხოვრებით ისედაც უკმაყოფილო ჩაცკის სულიერი სიმშეიდე და წინასწორობა. ის ცდილობს გამოარკვიოს სოფიოში მომხდარი ცვლილების მიზეზი და ხან ახალგაზრდა პოლკოვნიკ სკოლოზუბზე მიიტანს ეჭვს, ხან მოლჩალინზე, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ ჩამონდება, თუ ვინ უყვარს სოფიოს. იმავე დღეს, საღამოს, ფამუსოვების ოჯახში დანიშნულია წეველება. შეიკრიბნენ მოსკოვის მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები — თავადიშვილები, მსხვილი მოხელეები, სამხედრო პირები და მათი ოჯახობა. *

ეს ბრწყინვალე საზოგადოება უწინაც არ მოსწონდა ჩაცკის, რადგან კარგად ჰქონდა შეგნებული მისი ზნეობრივი ნაკლი: ეკრიზმი, ინტერესის სიციტროვე, შენ-ჩემიანობა, ჭორიკანობა, გაუნათლებლობა, კეშმარიტად აღამიანური გრძნობების უქონლობა. ახლა კი, როდესაც პირადმა მწუხარებამ აუმღვრია ჩაცკის გუნება, მას ეს საზოგადოება საზიზღარ ჯოჯოების კრებულად ეჩვენება, და ჩაცკიც დაურიდებლად არლვევს ეტიკეტის მოთხოვნებს და აღშუოთებული დაუწყებს ამ საზოგადოებას ლანძღვას: გმობს მის

ფუფუნების, დედა-ენის დავიწყებას, მხეცურ მოპყრობას გლეხტბი-
სადმი, ხალხური ზნე-ჩეცულების აბუჩად ავდებას და ურანგების კანკი
წინაშე უგნურ მონობას. ყველას გადაუჭირა ჩაცემ თავსურ ჰქონდა ასე
ნი სარკაზმის მათრახი. არ დაზოგა არც სტუმრები და არც მასმინ-
ძლები. ბევრი მწარე სიტყვა უთხრა თეითონ ფამუსოეს და მის
ქალიშვილ სოფიოსაც. ბოლოს, მოთმინებიდან გამოსული სოფიო
ჯავრს იყრის ჩაცემზე და ჩუმად გაატრცელებს იქ შეკრებილ საზო-
გადოებაში ხმას, რომ ჩაცემი გაგიერცულია. ყველანი სიამოვნებით
იჯერებენ ამ ქორს, რაღაც ყველას საწყენი რაღაც უთხრა ჩაცემზე
კომეტია თავდება იმით, რომ ჩაცემიც მოკრაეს ყურს ამ ქორს, შეი-
ტყობს სოფიოს სიყვარულს მოლჩალინისადმი და, საბოლოოდ გულ-
გატეხილი, გადაწყვეტს სამუდამოდ მოშორდეს მოსკოვეს და, მოლი-
ზრის ალცესტის მსგავსად, ეძიოს სხვაგან ისეთი ადგილი, „სადაც
შეურაცხყოფილი გრძნობისათვის მოიპოვება თავშესატარი“. მაგრამ
არც მოლჩალინსა და სოფიოს ადგებათ კარგი დღე: სოფიო შემ-
თხვევით გაიგებს, რომ მოლჩალინს უყარებია არა სოფიო, არამედ
ამ უკანასკნელის მოსამსახურე გოგო — ლიზა, ხოლო სოფიოსთვის
თურმე იმიტომ ატარებდა იგი დროს, რომ არ ეწყენინებია თავისი
უფროსის ქალიშვილისათვის და არ გაეფუჭებია ამით თავისი კა-
რიერა. უბედურების დასასრულებლად, სოფიოს სიყვარული მოლ-
ჩალინისადმი გამომედავნდება, და მოსალოდნელი სკანდალით შე-
შინებული ფამუსოვი გადაწყვეტს გახიზნოს რეპუტაციაშელახული
თავისი ქალიშვილი სადღაც მიყრუებულ სოფელში.

გარეგნული თავისი თვისებებით გრიმორდვის „ვაი ჰეუისაგან“
ფსევდოკლასიკური პიესების რიცხვს ეკუთვნის. კომედიაში სასტიკად
დაცულია ფსევდოკლასიკური დრამატურგიის ძირითადი კანონები.
პიესის მთელი მოქმედება წარმოებს ფამუსოვის სახლში, ადგი-
ლი მოქმედებისა არ იცვლება (ერთობა ადგილისა). იწყება ეს მოქ-
მედება ადრე დილით და თავდება იმავე დღეს (ერთობა დროისა).
პიესა თავისუფალია ისეთი ეპიზოდებისაგან, რომლებიც აბნელებენ
მთავარი მოქმედების განვითარებას, და უკანასკნელიც ამის გამო
მიმდინარეობს სწრაფად, თითქმის მათემატიკურად სწორი ხაზით
(ერთობა მოქმედებისა). პიესაში გვხვდება ფსევდოკლასიკური კო-
მედიებისათვის აუცილებელი რეზონერი, რომელიც წარმოდგენილია
ჩაცემის სახით: ამ უკანასკნელს გრიმორდოვი ათქმევინებს იმას, რა-
საც თვითონ ავტორი ფიქრობდა მოსკოვის საზოგადოების შესახებ.
ალსანიშნავია აგრეთვე, რომ მომქმედ პირთათვის სახელშოდების შერჩევაში
გრიმორედოვი იცავს ფსევდოკლასიკური კომედიებისათ-
ვის ჩვეულებრივ წესს, და გმირის სახელი უკვე გამოხატავს მისი

სახითის იმ თეისებას, რომელიც, ავტორის აზრით, ძირითადი თეო-
სებაა ამ გმირისათვის. მოლჩალინის სახელი, მეგალითად, ნაწარმოე-
ბია „მოლკა“ სიტყვიდან (რაც ქართულად „ჩუმად ყოფნის“ ნიშ-
ნავს) და იმის მაჩვენებელია, რომ ამ სახელით გამოყენებული
გმირის მთავრი თეისებაა სიჩუმე: მოლჩალინი ჩუმჩუმა კაცია;
მას თავებდობად მიაჩნია, როდესაც კაცი, რომელიც არც მდიდარია
და არც ღიღი ჩინის პატრონი ბედაეს საკუთარი აზრის გა-
მოქმას ამა თუ იმ მოვლენის შესახებ. მოლჩალინი სავალდებულოდ
თვლის თავისათვის ის შეხედულება ჰქონდეს ყოველ საგანგებო, რა
შეხედულებაც აქვთ მის უფროსებს. ეს არის ადამიანურ ღირსებაშე
ხელის აღება. და თავისი თავის აღიარება მონაც. ცხადია, რომ მარ-
ტი მოლჩალინი კი არ არის აქ დამნაშავე, არამედ დამნაშავეა მისი
საზოგადოებრივი წრეც, რომელიც მოითხოვს თავისი წევრებისაგან
უსიტყვო მორჩილებას და არ იძლევა საკმაო გარიანტიას აღამინური
ღირსების ხელუხლებლობისათვის. „მოლჩალინბა“ წარმოშვა რუ-
სეთის ბატონიყმობამ, რომელიც ჩამორჩენილ საწარმოო ტექნიკაში
პოულობდა თავის დასაყრდენს. გრიბოედოვის დამსახურება კი ის
იყო, რომ მან კარგად შენიშვნა ეს დიდი ნაკლი რუსული ცხოვრე-
ბისა და განასახიერა იგი ცოცხალს ტიპში. მის შემდეგ „მოლჩალი-
ნბა“ იქცა ჩვეულებრივ სიტყვად, და ამით შეიქმნა ძლიერი იარაღი
საზოგადოებაში გაერცელებული მორჩილური სენის წინააღმდეგ საბ-
რძოლველად, ე. ი. გაიზარდა ცხოვრების კულტურული დონის ასა-
მაღლებელ საშუალებათა მარავი.

დაახლოებით იგივე უნდა ითქვას კომედიის დანარჩენ გმირთა
სახელების შესახებ. ფამუსოვის სახელი ნაწარმოებია ლათინური
სიტყვიდან *famosus*, რაც ქართულად ნიშნავს „ცნობილს“, „ჩინე-
ბულს“: ამ სახელის მიცემით, ფამუსოვისათვის აეტორი მიუთითებს
მეითეცელს, რომ სწორედ ასეთი სახითის მქონე ადამიანები არიან
მოსკოვის მაღალი საზოგადოების ჩინებული წევრები, მისი ბურჯე-
ბი და, რამდენადაც ეს ბურჯები დამპალი არიან ფამუსოვის მსგავ-
საც, ამდენად ეს მაღალი საზოგადოებაც მოკლებულია მტკიცე სა-
ცუძველს და ლპობისა და გახრენის ატმოსფერით არის მოცული.
დამპალია კი ფამუსოვი იმიტომ, რომ ის არც ოჯახისათვის არის
სანიმუშო მამა და არც სახელმწიფოსათვის არის სასარგებლო კა-
ცი. ოჯახში ის კერ უწევს ხელმძღვანელობას თავის ერთადერთს
ქალიშვილს სოფიოს, რომელიც მთელ ღამეებს თურქმე მოლჩალინ-
თან ატარებს, მამამ კი ამის შესახებ არაფერი იცის. ფამუსოვმა ვერ
მისცა თავის ქალიშვილს ცხოვრებისათვის საჭირო აღზრდა. საეუ-
თარი შვილის აღზრდას ფამუსოვი მოეკიდა ჩინოვნიკურად, ფორმა-

ლურად, შესარულა მხოლოდ ის, რასაც მოდა მოითხოვდა და რასაც
ყველა აქეთებდა მის წრეში: დაუქირავა სოფიოს ფრანგი მასწავლე-
ბლები, ყიდულობდა მისთვის მოდის შესაფერის ტანისამოსებს და
ფიქტობდა, რომ ამით ამოიწურა მისი მოვალეობა შვილის მიმართ.
ნამდვილი სიყვარული შვილისადმი და გულწრფელი ზრუნვა მის
მომავალზე ფამუსოვისათვის უცხოა. მას აკლია ამისათვის საჭირო
სულიერი ენერგია. ფამუსოვმა იცის, მაგალითად, რომ ფრანგულ
აღზრდაში კრგი არაფერია, მაგრამ მან არ იცის, რით შეიძლება
ამ აღზრდის შეცვლა, და იმის სურვილიც არ აქვს, რომ თავი შეი-
წუხოს ამ საკითხით. სად სცალია ფამუსოვს ამისათვის, როდესაც
ის მუდამ სტუმრობაშია: ან თვითონ იღებს სტუმრებს, ან სხვებთააც
არის სტუმრად დაპატიჟებული. აქ ნათვლაა, იქ ქორწილი, აგრე
კიდევ აღაპია — და იმაში მიღის ის თავისუფალი დრო, რომელიც
რჩება ფამუსოვს სამსახურისაგან. სოფიოს კი აქვს საკუთარი ცხოვ-
რება, რომელსაც მამა არც კი იცნობს.

თუ საკუთარი შვილის აღზრდას ფამუსოვი ასე ჩინოვნიკურად
და ფორმალურად ეკიდება, მით უფრო მოსალოდნელია, რომ თა-
ვის სამსახურსაც ის სხვანაირად არ მოეკიდებოდა. მართლაც, ფა-
მუსოვი ითვლება ერთი ღიღი ღიღი დაწესებულების უფროსად, მაგრამ
თავის თანამდებობას ის მხოლოდ გარეგნულად ასრულებს. მთავა-
რია მისთვის, რომ ღაწესრიგებულების ოფიციალური ქაღალდები კარ-
გად იყოს მოწესრიგებული, რომ შემოსულ ქაღალდებს წესიერი
მსვლელობა მიეცეს და ვადაზე მეტხანს უპასუხოდ არ დარჩეს. მთე-
ლი თავისი მუშაობის მთავრი აქტია ფამუსოვი თელის სწორედ ამ
ქაღალდებზე ხელის მოწერას. თვით იმ საქმის არსებითი გარევევა
კი, რომლის გამო დაწერილია ესა თუ ის ქაღალდი, და ამ საქმის
ნამდვილი მოწესრიგება ფამუსოვს არ აინტერესებს: რას დაეძებს
ფამუსოვი საქმეს, თუ კი ოფიციალურ ქაღალდზე ყველაფერი თავის
რიგზეა? ჩევიზია ხომ ქაღალდს შეამოწმებს და არა საქმეს. ასე-
ბითად რომ ითქვას, ფამუსოვი მეტხორცია სახელმწიფო პარატისა
და არა თუ არავითარი სარგებლობა არ მოაქვს ქვეყნისათვის, არა-
მედ ზიანს აყენებს მას. მაგრამ ამის შეგნება არც თვითონ ფამუ-
სოვს აქვს, არც მის ნაცნობებს. პირიქით, თვითონ ფამუსოვს, მცუხე-
დავიდ იმისა, რომ ის არის ერთი ზანტი და უსარგებლო ჩინოვნიკი,
რომელიც მდიდრდება და ჩინებს იღებს მთავრობისაგან, ძალიან
მაღალი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე და, რაკი მას დიდი თა-
ნამდებობა უჭირავს, კარგად მორთული სახლი აქვს და ნაცნობებში
პარივისცემით სარგებლობს, ამიტომ გულწრფელად დარწმუნებუ-
ლია, რომ ყველაფერი ეს მან დაიმსახურა თავისი პირადი პატიოსნებით

და ადამიანური ლირსებით. ფამუსოვს არ აქვს შეგნებული საკუთა-
რი ნაკლი, ის ვერ ამჩნევს, რომ ლანდია, და არა ცოცხალი
ადამიანი, რომ მას ფორმა აქვს ადამიანისა, და არა არსება. შემცირედ
რომ ითქვას, ფამუსოვში მიძინებულია შეგნება ან სინდისი და პა-
სუნისმგებლობაც ამისათვის მხოლოდ ფამუსოვს კი არ აქვება, არა-
მედ მთელ მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წესშეყობილებას, რო-
მელმაც არა თუ არ მოსპო ფამუსოვების გაჩენის შესაძლებლობა,
არამედ ხელიც შეუწყო ცოცხალი ადამიანის გადაქცევას ასეთ ლან-
დად. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ ფამუსოვის კრიტიკა, მხატვ-
რული საშუალებებით მოცემული გრიბოედოვის კომედიაში, ბიურო-
კრატიკულ რუსეთის მთელი სოციალ-პოლიტიკური წესშეყობილების
კრიტიკა იყო — მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა თვითონ გრი-
ბოედოვს ასეთი კრიტიკა განზრახული.

ფსევდოკლასიკურ ფასონზე არის გამოქრილი ალექსანდრე ჩაც-
კის სახეც გრიბოედოვის კომედიაში. ზოგიერთები მიამსგავსებენ
ჩაცკის სახელს /რუსეთის ცნობილ მოაზროვნე ჩაადაევის გგართან
და ფიქრობენ, რომ გრიბოედოვმა „ჩაცკი“ გადმოაკეთა „ჩაადაევი“
სიტყვიდანო. მაგრამ ეს მოსაზრება, ჯერ ერთი, არათრით არ
მტკიცდება და, გარდა ამისა, არ ეთანხმება პიესის შინაარსს. ჩაადა-
ევი იყო დეკაბრისტული მოძრაობის მომხრე, რაც შეეხება ჩაცკის,
ის სკეპტიკურად და ორონიულად უცქერის დეკაბრისტების მოძრა-
ობას. ჩაცკი დასცინის საიდუმლო კრებებს, რომელსაც აწყობენ
დეკაბრისტები, და ამბობს, რომ ამ კრებებზე ბევრი ხმაურობაა და
საჭმე კი არავითარი არ კეთდება. „Шумите вы и только“ — გეს-
ლიანად ეტყვის ჩაცკი რეპეტილოვს, რომელიც ბრიყვულად ტრი-
ბახობს, რომ ის და მისი ნაცნობები ხშირად იქრიბებიან და ყველა-
ფურს აკრიტიკებენ. ეს გვაძლევს საბუთს ეიფიქროთ, რომ ავტო-
რის განზრახული ჩაცკი არ იყო დეკაბრისტი, ისე როგორც თვითონ
გრიბოედოვიც არ თანაუგრძნობდა დეკაბრისტულ შეთქმულებას,
თუმცა როგორც გრიბოედოვს, ისე ჩაცკისაც ის მსგავსება ჰქონდათ
დეკაბრისტებთან, რომ ორთავეს არ აქმაყოფილებდა არსებული
საზოგადოება.

უფრო ახლო იქნებოდა პიესის აზრთან, რომ ჩაცკის სახელი გა-
მოვიყენოთ რუსული სიტყვიდან ჯად — ალმური (Чадский=Чац-
кий) და ამის თანახმად ვიფიქროთ, რომ პიესის კონცეპციით ჩაცკი
არის Чадский ან ისეთი კაცი, რომელიც საკუთარ გატაცებათა
ბურუსით არის მოცული და რომელსაც დაკარგული აქვს სულიერი
წონასწორობა. მიზეზი ამ წონასწორობის დაკარგვისა იმაშია, რომ
ჩაცკის არ აქვს ფართო დასაყრდენი ნიაღავი რუსეთის კანოვრე-

პიესის მთავარი აზრის შიხედვით, დასაცლეთ ეკროპიდან სწავლა-განათლების გაღმოლებამ დაშალა რუსი ხალხის მულტიტურული ბა, და ამ დაშლის პროცესში წარმოშობილი ერთერთი ნაბეჭდურებულის არის ჩაცემი, რომელსაც გაქრობა მოელის, ვინაოდან ის განმარტოებულია. გრიბოედოვის პიესაში იშვიათი სიღრმით არის გაღმოცემული ამ განმარტოების ფსიქოლოგია და მხატვრულია არის დახასიათებული ის დიდი მწუხარება, რომელიც განმარტოებულ ყოფას თან სდევს.

ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა და უძლიერესი ტანჯვაა მისთვის განმარტოებულად ყოფნა. ჩაცემიც იმიტომ არის უბედური, რომ მას არ ჰყავს არც ერთი კეშმარიტი მეგობარი, რომელიც გვერდში ამოუღებოდა და გაამხნევებდა: ჩაცემი მარტოკა დგას თავისი საზოგადოებრივი წრის პირდაპირ, რომელიც დაუზოგველად ებრძვის ჩაცემის, რადგან უკანასკნელი მოსწყდა ამ საზოგადოებას და წინაღუდვა მის ყოფაცხოვრებას. ამ განმარტოების მიზეზაც პიესაში ნაგულისხმევია ჩაცემი „ქეცუა“, ე. ი. მისი ევროპული სწავლა-განათლება: სწორედ სწავლა-განათლებამ შეამჩნევინა ჩაცემის სიღამპლე ფამუსოვებისა, რომლებსაც თვითონ არა იქვთ ეს თავისი სიდამპლე შევნებული. ამდენად, პიესის აზრით, მიზეზი ჩაცემის განსხვავებისა ფასუმოვებისაგან პირველის სწავლა-განათლება ან ქეცუაშია: ჩაცემი უფრო ქეცუიანი ან უფრო განათლებულია, ვიდრე ფამუსოვები, და ამიტომაც არ შეუძლია მას ფამუსოვების ყოფაცხოვრებას არ გამოეთიშვის. აქედან კი წარმოიშობა მისი უბედურება, მისი „ვაი“, და ასენა ეძლევა პიესის სათაურს „ვაი ქეცუისაგან“.

პუშკინსა და ბელინსკის ექვი ეპარქებოდათ ჩაცემის ქეცუაში. ისინი არ ეთანხმებოდნენ გრიბოედოვს, რომ ჩაცემი მართლაც ქეცუიანი კაცია. სამაგიეროდ გონჩაროვმა ქავისი კრიტიკულ წერილში (Миллион терзаний), რომელიც მან გრიბოედოვის კომედიას უკრიცა, სცადა დაემტიციცებია, რომ ჩაცემი ქეშმარიტად ქეცუიანი ადამიანია. დღეს ჩვენ უნდა დღვიაროთ, რომ პუშკინსა და ბელინსკის უფრო სწორი წარმოდგენა ჰქონდათ ქეცუის ცნებაზე, ვიდრე გრიბოედოვსა და გონჩაროვს, და ჩაცემის უპირატესობის წყაროც ფამუსოვების წინაშე იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ჩაცემი უფრო ქეცუიანია, არამედ იმაში, რომ მისი ნებისყოფა უფრო კეთილშობილი მიზნებისაკენ არის ობიექტურად მიმართული, ვიდრე ის წვრილმანი მიზნები, რომლებსაც ქმსახურებიან ფამუსოვები. ნებისყოფის განსხვავება გრიბოედოვმა ჩათვალა ქეცუის განსხავებად, რადგან თვითონ აღზრდილი იყო XVIII საუკუნის ჩაცემალისტურ ფილოსოფიაზე, რო-

ჰელსაც ადამიანის არსების საფუძვლად მიაჩნდა ჭიუა და უოველი განსხვავებას ადამიანთა შორის „ჭიუის“ ან სწავლა-განათლების განსხვავებით სწნიდა.

რას ემსახურება ჩაცყი თავისი მოღვაწეობით? სურიექტურად არაფერს, ობიექტურად კი რუსეთის დახავსებული წყობილების ნანგრევებზე ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის აღმოცენებას. მაგრამ ამ უკანასკნელის შეგნება თვითონ ჩაცყის არ აქვს, და ეს აქვებს მას ღრმა სევდით, რომელიც შეიძლება ბაირონისებურ სევდას ან „მსოფლიო სევდას“ დავუახლოეოთ. ჩაცყი მთელი თავისი არსებით გრძნობს, რომ რუსეთის ძეველს ჩარჩოებში გაძლება ევროპულად განათლებულ ადამიანს არ შეუძლია, და ის ენერგიულად ებრძევს ამ საზოგადოებას, თუმცა სრულიადაც არა აქვს წარმოდგენილი, რა დადგებითი შედეგი უნდა მოჰყვეს ამ ბრძოლას. ჩაცყი არის მნგრეველის ქლასიკური ტიპი, როგორც თავისი იდეოლოგიით, ისე თავისი ფსიქოლოგიით, და მკითხველს შეუძლია მასში ტურგენევის ბაზაროვის ნიშნები დაინახოს. როგორც ბაზაროვი ისე ჩაცყი იმ კრიტიკის წარმომადგენლები არიან, რომელსაც ტიპიური გამოსახულება მისცა XVII — XVIII საუკ. საფრანგეთმა და რომელსაც დღეს ჩვენ „მექანისტურ უარყოფას“ ეუწოდებთ „დიალექტიკური უარყოფისაგან“ განსხვავებით. ამრიგად, ჩაცყის სახე სცილდება რუსეთის ფარგლებს და მსოფლიო ან საკაცობრიო ტიპის მნიშვნელობას იღებს. დადგებითი პროგრამა საზოგადოების გარდასაქმნელად ჩაცყის არ გააჩნია: ის ილაშერებს ძველი საზოგადოების წინააღმდეგ, კიცხავს იმას, რომ რუსები ყველაფერში უცხოელებს ბაძაცენ, მაგრამ თვითონ არ იცის კარგად, რით შეიძლებოდა უცხოეთიდან გადმილებულის შეცვლა. ჩაცყი გესლით საესე ტირადებში გამოთქვამს თავის აღმფოთებას ბატონყმობის ანომალიებით, სურს სამარცხევინო ბოძებე გააკრას მხეცი მემამულები, რომლებიც ძალებზე ცვლიან თავის ყმებს, და მოითხოვს პატივისცემას დაბალი ხალხისაღმი, მისი ენისა და ზეგებეულებისაღმი. მაგრამ შეცდომა იქნებოდა ამ ტირადებში ბატონყმობის გაუქმების მოთხოვნა გვეძია და ამიტომ ჩაცყიზე უფრო გაზევეული შეხედულება ბატონყმობის შესახებ ჰქონდა უეპეველად რადიშჩევს, რომელიც ებრძოლა ბატონყმობის პრინციპს, და არა მხოლოდ მის ანომალიებს. ჩაცყი არის იმ ადამიანის ტიპი, რომელიც რუსეთის მეურნეობის თანდათანმა კაპტალიზაციამ, ერთი მხრით, და დასავლეთ ევროპიდან შემოსული სწავლა-განათლებამ მეორე მხრით, აამხედრეს ჩამორჩენილი რუსეთის ყოფაცხოვრების წინააღმდეგ და მოუსახეს მას ფსიქოლოგიური შესაძლებლობა თავის საზოგადოებრივ წრეს შეჰვე-

მოდა: როგორც ასეთი, ჩაცეი იმ „ჸელმეტ აღამიანების“ პროტო-
ტიპს წარმოადგენს, რომლებიც ასე ბლომად გვხვდებიან! უშმდევე
რუსულ ლიტერატურაში.

გრიბოედოვის „ვაი ჰეუისაგან“ სამართლიანად ითვლება რუსუ-
ლი კომედიის კლასიკურ ნაწარმოებაზ, რომლის ლირებას შესაძლე-
ბელია მხოლოდ გოგოლის „რევიზორში“ გაუწიოს მეტოქეობა, და
ისიც მარტო მხატვრული თვალსაზრისით. რაც შეეხება ფილოსო-
ფიურ სილრმეს, აქ გრიბოედოვის კოშედიას ბადალი არ მოეპოვება —
მთელს რუსულ ლიტერატურაში. ერთი თავისი იდეით კომედია უახ-
ლოვდება რუსეთის სლავოფილობას და ამ უკანასკნელისაგან გამო-
სულ ხალხოსნობას. ეს იდეა შემდეგ ფორმაში შეგვეძლო გამო-
გვეთქვა: როდესაც რომელიმე ჯგუფი მოწყდება ხალხს, ის
აუცილებლად იხრწნება. ფამუსოვების ჯგუფიც გახრწნილია,
ვინაიდან მან დაკარგა იმ „კეთილ რუს ხალხთან“ ქავშირი,
რომელიც კომედიაში თუმცა არ არის წარმოდგენილი, მაგ-
რამ ნაგულისხმევია, როგორც უძირო ზღვა, რომლის ტალღების
ცემა ისმის იმ კედლების იქით, სადაც მომწყვდეულია ფამუსოვების
აშშირებული ჭაობი — ყველა ეს სკალოზუბები, ტუგოუხოვსკები,
ხლესტოვები, ზაგორეცკები, ხრუმინები et tutti quanti.

იღსანიშნავია სხვათა შორის გრიბოედოვის კომედიის ენა. „ვაი
ჰეუისაგან“ დაწერილია იამბიკური ლექსით, რომლის ლექსიკონი
და სინტაქსისი ჩვეულებრივს საბაასო ენას უბელოვდება და ამ-
ულაცნებს კრილოვის იგავ-არაკების გავლენას გრიბოედოვის კო-
მედიაზე. მრავალი წინადადება გრიბოედოვის თხზულებისა მკით-
ხველთა მასამ ანდაზად აქცია: „Счастливые часы не наблю-
дают“, „Блажен, кто верует: тепло ему на свете“, „Слу-
жить-бы рад, прислуживаться тошно“, „И дым отечества
нам сладок и приятен“, და სხვ. უკანასკნელი აფორიზმი მოსწონდა
ილია ქავჭავაძეს, რომელმაც გამოიყენა იგი ეპიგრაფად თავის
თხზულებაში „მგზავრის წერილები“. „ვაი ჰეუისაგან“ გადათარგმნი-
ლია მრავალს ეკროპულ ენაზე. ქართულზედაც იგი რამდენიმეჯერ
იყო გადმოთარგმნილი. საუკეთესო თარგმანი ეკუთვნის პოეტ ქალს
განდევილს.



ତାର କାନ୍ଦିଲାଙ୍ଗାନ

ପ୍ରମେୟରୀତି 4 ମିଳିମେଟ୍ରୋମ୍ବାର.

(ბეჭმა—უცლლუტმა, დაუღირომელმა
ასე განაგო იმავ თავიდან;
ბრიყეებს ბეჭი აქვთ თავის სიბრიყვით,
და ჰკვიანებს-კი — ვაი ჰკუისგან).

მომზადები პირი:

ალექსანდრე ანდრიას ძე ჩახტეი.

პავლე ათანასის ძე ფამუსოვი — სახაზინო აღვილის
მმართველი.

სოჭიო პავლეს ასული — ამისი ქალი.

ლიზა — მოსამსახურე.

ალექსი სტევანეს ძე მოლჩალინი — ფამუსოვის მდივანი და
მისიე მდგმური.

სერგი სერგის ძე სკალიჭუბი — პოლკოვნიკი.

ნატალია ღიოზიტის ასული — ახალგაზრდა ქმრიანი ქალი.

კლარინ მიხეილის ძე — ამისი ქმარი.

თავ. ტუბოზეობები თავისი კნეინითა და ექვსი ქალით.

გრაფინიები სრიუმინიშვილი — ბებია და მისი შეილიშეილი.

ანთონ ანთონის ძე ზაგორიაცი.

ხლევეტოვისა — მოხუცი ქალი, ფამუსოვის ცოლის და.

პატონი N.

პატონი D.

რევერტილოვანი.

პეტრუშევა და რამდენიმე მოლაპარაკე მსახური.

მრავალი სხვადასხვავარი სტუმარი და მათი ლაქიები ბალის გათა-
ვების შემდეგ.

ფამუსოვის რიციციანობი.

მიქაელი.

ფამუსოვის მოსამსახურეები.

მოქმედება ქარმოებს მოსკოვში, ფამუსოვის სახლში.

მოხვდება პირველი

სასტუმრო. ქედელზე დიდი საათი. მარჯვნივ, სოფიოს ოთახისაკენ, გასასვლელი კარებია. სოფიოს ოთახიდან მოისმის ფორტეპიანოსა და ფლეიტის ხმა, რომელიც მაღვე მიწყდება. სცენაზე, შუა იდგილას, ლიზას ჩასძინებია და სავარძლიდან თავგადმოგდებულია.

(რიტრაები)

გამოსვლა პირველი

ლიზა.

(უცბად გამოიღვიძებს, ფეხზე წამოდგება და აქეთ-იქით იხედება) თენდება კიდეც! ოჟ, რა ჩქარა გავიდა ლამე! მეძინებოდა, ეთხოვე, მაგრამ მითხრეს უარი! „მეგობარს ველი და უთუოდ იდარაჯეო!“ ვიღრე სკამიდან ძირს ბრაგვანი არ მოადინო, უნდა იფხიზლო! და, ახლა რომ ტკბილად ჩამთვლრმა, ვათენდა კიდეც!.. უნდა ვუთხრა... (კარებს აკაკუნებს) ბატონო ჩემო!

შავ მუსაითით მთელი ლამე ხომ გაატარეთ.

სოფი ბავლოვნა! რას უყურებთ, გმართებთ სიფრთხილე!

ხომ არ დაყრუდით? ალექსეი სტეფანიჩ, გესმით!

ოქენე, ქალბატონო... აღარა გაქვთ არაფრის შიში!

(მოშორდება კარებს)

ახლა რომ მამა შემოესწროს უწვეველ სტუმარს!

მოდი შენა და ემსახურე შეყვარებულ ქალს!

- (ისევ კარებს მიაკება)

დროა მოშორდეთ აშ ერთმანეთს, დილაბ, დილა!..

ჩაო, რას ბრძანებთ?

სოფიოს ხმა. რომელია, მითხარ, საათი?

ლიზა.

სულ ყველა ადგა, მთელ სახლობას გამოედგია.

სოფიოს ხმა.

ვერ გაიგონე? რომელია, მითხარ, საათი!

ლიზა (კარებს მოშორდება).

მეშვიდე, მერვე, მეცხრე.

სოფიო (ოთახიდან).

სტყუი. ნუთუ მაგდენი?

სოფიო (ოთახიდან). სტყუი. ნუთუ მაგდენი?

ლიზა. (მივარდება კარს)

ოჲ, სიყვარულო, რა წყეული რამა ყოფილხარ!

ყურს არ მიგდებენ, არც-ეკი ჰერხავთ, რომ გაიგონონ!

ეითომ რა უშავს, დარაბები რომ ემოვალო?

საათსაც სწორედ წინ გადავსწევ, თუმც ესეც ვიცი,

ერთს აურჩაურს ააყენებს იმის ჩხაკუნი.

(შედგება სკამზე და საათის ისარს წინ წასწევს; საათი რექავს და უკრავს).

გამოსიღლა მიორე

ლიზა და ფამუსოვი.

ლიზა.

მო, თქვენ, ბატონო!

ფამუსოვი.

დიახ ბატონი! (აჩერებს საათის მუსიკას)

რა ეშძავი ხარ, შე-ცუგრუმელა!

რატომ ვერ მივხვდი, რომ ამგვარ ოინს

შენს მეტი არვინ არ ჩაიდენდა.

ხან შემომექმა ფლეიტის გვარად,

ხან ფორტეპიანს შევუდარე ხმა,

და სულ დავიბენ... ამ უთენია

სოფია ხომ არ გაიღვიძებდა.

ლიზა.

არა, ბატონო, მე... უცაბედად...

ფამუსოვი.

და არა განგები? სულ უცაბედად... (ეალერსება)
ოჲ, შე ეშმაკო, შე ცუგრუმელა!

ლიზა.

ეშმაკი თქვენ ხართ: რატომ არ ფიქრობთ,
რომ თქვენის ხნის კაცი ეგ არ უხდება?

ფამუსოვი.

მოკრძალულია, თუმცა, ცუღლუტი,
ქარაცმუტა — სხვა არაფერი.

ლიზა.

ხელი გამიშვით, თვით ქარაფშუტავ!
ნუ გაციწყდებათ, რომ ხართ ბებერი!

ფამუსოვი.

თითქმის.

ლიზა.

გამიშვით, შემოვა ვინმე!

ფამუსოვი.

აქ ვინ შემოვა, ხომ სძინავს ჩემს ქალს?

ლიზა.

ეს არის ახლა ძლიერ ჩაეძინა.

ფამუსოვი.

ახლაო? ღამე რას აკეთებდა?

ლიზა.

თითქმის მოელ ღამეს წიგნს კითხულობდა.

ფამუსოვი.

ეს კიდევ რაღაც გამოიგონა!

ლიზა.

კარჩაკეტილში ზის და ხმამილუა
ფრანგულს კითხულობს, ვეღარ ისვენებს.

ფამუსოვი.

უთხარი მაინც, რომ წიგნის კითხვით
არა გამოდის, თვალებს ნუ იხდენს.
შას არ ასევენებს ფრანგულის კითხვა
და მე რუსულის — სულ ძილიდ მაგდებს.

ლიზა.

როცა ადგება, ყველაფერს ვეტვი;
მიბრძანდით, თორემ გამოილვიძებს.

ფამუსოვი.

რის გალვიძება? შენ არ ბრძანდები,
საათს რომ წინ სწევ, აფრთხობ მთელს უბანს!

ლიზა (ხმამაღლა).

კარგია, კმარა!

ფამუსოვი (პირზე ხელს აფარებს).

ხომ არ გაგიქდი?

რა გალრიალებს შენ ამოდენას!

ლიზა.

მეშინია, რომ არა მოხდეს რა.

ფამუსოვი.

რა უნდა მოხდეს?

ლიზა.

რატომ არ ჰუიქრობთ,
ყმაწვალი არ ხართ, რომ არ იცოდეთ:
დილის ტკბილ ძილსა ქალწულს დაუფრთხობთ.
მოგეხსენებათ: მათ ყურთა სმენას
ჩუირე ჩურჩული, კართა ჭრიალი
პირდაპირ ჰევდება!

ფამუსოვი.

სიცრუეს ყბედობ.

ხოვიოს ჩმა.

ლიზა!

ფამუსოვი. (საჩქაროდ)

სსს!.. (ცერებზე შემდგარი ოთახიდან მიიპარება)

ლიზა (მარტო). წავიდა. შორს ბატონთაგან!
განსაცდელს ელი მათგან ყოველ წუთს...
ღმერთო, მაშორე სხვა ჭირზე უფრო
ბატონთა რისხვას და მათ სიყვარულს!

გამოსვლა მესტმე

ლიზა, სოფია თ სანთლით ხელში; შემდეგ მოლჩან ინი
სოფიო.

ლიზა, რა მოხდა, რა გახმაურებს?

ლიზა.

რა გენალულებათ: თქვენ აქ ერთმანეთს
დღეც არ შორდებით... არ ჰქმარობთ ღამეს.

სოფიო.

ობ, ღმერთო, მართლაც გათენებულა. (აქრობს საწოელს)
თან კმუნეა მოაქვს დღისა სინაოლეს.

ლიზა.

იწუხეთ, მაგრამ იცოდეთ-კი, რომ
მე ვეღარ ვუძლებ ამდენ სიმწარეს.
ამ წუთას იყო მამათქვენი აქ,
სისხლი გამიშრა... გამისკდა გული...
და ოღარ მახსოვს, ტვინდაბნეულმა,
რარიგად შევთხშე სხვადასხვა ტყული... (მოლჩალინს)
თქვენ რალას უცდით? გამოეთხოვეთ,
მგონია, გული არ გაქვთ საგულეს.
საათს დაპერდეთ, აპა, ფანჯრიდან
ხედავთ, ქუჩაზე ხალხთა სიმრავლეს?
შინ-კი ბიჭებმაც გამოიღეიძეს.
სწმენდენ და ჰგვიან აქაურობას.

სოფიო.

ბედნიერები არ სინჯვენ საათს!

ლიზა.

თქვენი ნებაა, ვინ გატანთ ძალას.
ოუმც მე მომკითხვენ თქვენს შეცოდებას!..

სოფიო (მოლჩალანბა).

წადით! როგორმე გავძლოთ მთელი დღე!

ლიზა.

რას შერებით! კმარა! განშორდით მალე!

(აშორებს ერთმანეთს. მოლჩალინს კარებში ფამილიური შემოეფერ ება).

ბათუსელა მეოთხე
იგინივე და ფამუსოვი.

უამუსოვი.

სიდან სადაო? მოლჩალინ, შენა?

მოლჩალინი.

ლიაბ.

უამუსოვი.

აქ ამ დროს რამ მოგიყვანა?

სოფიოც!.. ქალო, დილა მშვიდობის!

ამ უთენია რამ აგაყენა?

ნეტა ვიცოდე, რა საქმე გქონდა?

ან ამ დროს ერთად ჩათ შეიყარეთ?

სოფიო.

ამ წუთს მოვიდა...

მოლჩალინი.

სეირნობიდან

დაბრუნებულმა შემოგიარეთ.

უამუსოვი.

არ შეიძლება, რომ სასეირნოდ

ცოტა შორს ქუჩა ამოიჩიოთ?

შენ, ქალბატონო, როგორც ძილიდან

ოვალი გააღე, ზეზე წამოხტი —

მშენიერობაა: გასათხოვარ ქალს

გვერდით გიღგია ყმაწვეილი კაცი...

დამე კითხულობ სულელურ ზღაპრებს

და ესეც არის მისი შედეგი!

სულ ფრანცუზები, მათი მოდები,

გათი წიგნები, მათი ანრები,

დამლუპველები ჯიბის და გულის.

ლმერთო, გვაშორე იმათ შლიაპებს,
მათ ქინძისთავებს, შპილკებს, ჩეფჩიკებს,
რათ ბისკვიტებს და იმათ წიგნებს!..

სოფო.

რა არის, მამავ!, თავი მიბრუის,
ჩედავთ, შიშისგან ძლივს ვიბრუნებ სულს:
ჯემოიჭერით ისე საჩქაროდ,
რომ შემეშინდა...

ფამუსოვი.

მორჩილად გმადლობთ.
მე შემოვიჭერ თქვენთან უეცრად!..
მე შეგაშინეთ, მე დავიშალეთ...
სოფი პავლოვნა, მე თვითონ მოელ დღეს
შეუძლოდა ვარ, ველარ ვისვენებ,
ჩეტდასხმულივით მივრბი-მოვრბივარ
და ჩემს სამსახურს ისე ვასრულებ.
ხან ერთი მოვა და ხან მეორე —
სულ ყველას საქმე მხოლოდ ჩემთან აქვს
და სხვა მხრით მაინც არ მოველოდი,
რომ ისურეებდენ ჩემს მოტყუებას...

სოფო. (ცრემლმორეული).

ვისა სურს, მამავ?

ფამუსოვი.

ვიცი, რომ მევე
გამამტყუნებენ, ტყულად სტუქსავო.
ნუ სტირი, აბა, ყური დამიგდე,
მინდა საქმეზე გელაპარაკო.
ჯერ შენ ისევე აკვანში იყავ,
რომ შენ გაზრდაზე ზრუნვა დავიწყე:
დედა მოგიკედა და შენს აღმზრდელად
მე მოვწეოე მადამ როზიე.¹
თითქმის დედობას გიშევდა იგი,
მოხუცი, ყოვლად პატივცემული,
ჰქვიანი, სათნო და იშვიათის
ლირსებით იყო მუდამ ქებული.
მხოლოდ ერთი რამ ვერა ჰქნა კარგად —
სხვაში გამცვალა ხუთას მანეთად.

მაგრამ რა არის მაღამ რომელი,
როცა მამა გყავს წინ მაგალითად!
გარგად შემხედე: თავს არ ვიწონებ
თვალ-ტანადობით, მოყვანილობით,
მაგრამ მხნედა ვარ, გულიც ხალისობს
და ჩემთვის ვცხოვრობ მე მოსვენებით.
თავისუფლად ვარ, ბატონი არ მყაეს,
შევე ვარ ჩემის თავის ბატონი;
ქვრივი ვარ, მაგრამ ბერულის ქცევით
ყველას, საქები და მოსაწონი.

ლიზა.

მსურს მოგახსენოთ...

ფაშუსოვი.

დაჩუმდი მეთქი!

რა დროს შევესწართ, რა გვეშეელება:
ყოველი ბავშვი სიბრძნესა ჩემობს
და ეს-კი ქალებს უფრო ემჩნევა.
ჩენი ბრალია... კველა მოთრეულს
და მაწანწალას გავუღებთ კარებს².
და მათგან, აბა, ჩენი ქალები
რას ისწავლიან, თუ არ სიგლახეს:
სიმღერას, ცეკვას, მანქვას და გრეხვას,
თან არშიყობას და ეშნით ოხერას,
თითქოს ამგვარად აღზრდილ ქალიშვილს
ცოლად ვუმზადებთ ეინმე მასხარას. (მოლჩალინა)
შენ-კი, ყმაწვილო, აქ რისთეისა ხარ?
ობოლს ოჯახის კარი გაგიღე;
ჩინი გიშოვე ასესორობის³
და სეპტემბრად⁴ მევე მიგიღე.
მე გამოვზარდე, მე შეგინახე,
ჩემის წყალობით ხარ აქ, მოსქოეში.
სული მილოცე, თორემ აქამდე
იქ ეგდებოდი, შენს ქალაქ ტვერში.

სოფია.

თქეენს მრისხანებას ვერაურითა ვხსნი;
ეგ ხომ აქა დგა.. რა ჩაიდინა:
ერთ ოთახს ასცდა, უცბად აქ გაჩნდა!

ფამუსოვი.

გაჩინდა თუ განგებ სურდა გაჩენა?
ერთად რათა ხართ? არ შეიძლება,
რომ ეს უბრალო შემთხვევით იყოს!..

სოფიო.

აი, ბატონო, ეს როვორ მოხდა:
წელან ლიზასთან აქ რომ იყავით,
თქვენი ხმა მესმა, მეტად შევშინდი:
და გამოვიჭერ აქეთ სირბილით...

ფამუსოვი.

ნახაეთ, თუ მეცე არ დამაბრალონ:
უდროოდ ესმათ ამათ ჩემი ხმა!

სოფიო.

სიზმარში მყოფსა ცოტაც შეაკრთობს.
თუ გსურთ, გიამბობთ, რაც დამესიზრა!
ნაშინ მიხედებით...

ფამუსოვი.

რა ამბავია?

სოფიო.

გითხრათ სიზმარი?

ფამუსოვი (ჯდება). დაიწყე, რაღა...

სოფიო.

დამაცათ, დიახ... ვითომ პირველად
კნახე მინდორი ყვავილოვანი.
მე-კი ვეძებდი რაღაც ბალახებს,
არ მაგონდება ცხადად სიზმარი...
უცბად გამოჩნდა ყმაწვილი კაცი,
თითქო ვიცნობდი მე იმას წინათ,
ჰქვიანი იყო, მოკრძალებული,
მომიახლოედ წყნარად და მშეიდად.
ჩაგრამ სიტყვის თქმას ვერ მიბედავდა —
ლარიბთ თვისება ხომ ასე აჩი...

ფამუსოვი.

არა, შვილოა, გულს ნუ მიხეთქავ!
შენ არ შეგფერის ლარიბი ქმარი.

ლოფიო.

მერე ერთბაშად სულ ყველა გაპქრა,
ცაც და მინდორიც. დავრჩით ჩენ მარტო,
რეგვლივ გვფარავდა ბნელი ოთახი
და ამ სასწაულს სხეაც ზედ დაერთო:
უცბად გაიხსნა ძირს იატაკი
და თქეენ იქიდან ამოჰყავთ თავი:
სე ამოძევრით თმააბურძენული,
გაფითრებული, ვით მომაკვდავი.
ამ ღროს უეცრად სახლის კარები
შემოამტკრიეს და შემოვიდნენ,
მავრამ ვერ მივხედი, რა ჯურის იყვნენ:
არც ადამიანს და არც მხეცს ჰევდნენ.
ჩენ გაგვაშორეს ერთმანეთს. იმას
მწარედ სტანჯავდნენ... მეც დავიტანჯე.
ვითომ ის იყო ამქვეყნიური
უძირფასესი ჩემი საუნჯე.
მისკენ გავრბოდი მისაშეელებლად,
ვაგრამ თქეენ—თქეენენენ მიგყავდით ძალად.
თანაც მესმოდა კვნესა, ორიალი,
მაცდურო ხარხარი გულშესაზარი,
ის-კი მეძახდა. გამომელებიდა
და ცხად ლაპარაკს ყური მოვკარი...
თქეენი ხმა ვიცან და გამიკვირდა,
რა მოხდა-ვეთქი ამ ადრე დილით!
გამოვეშურე ამ ოთახისკენ
და თქეენ ორივე ერთად დამიხვდით.

ფამუსოვი.

გატყობ, ცუდია შენი სიზმარი,
ნამდვილში განგებ თუ არ ურევ ტყულს:
ოლონდაც, თავი მანდ მოუყრია
ყვავილებს, მაცდურს, შიშს და სიყვარულს. (მოლჩალინს)
შენ-კი, ბატონო, შენ რაღას იტყვი?

შოლჩალინი.

თქვენი ხმა მესმა.

ფამუსოვი.

სასაცილო!

რა აიგინეს ჩემი ხმა და ხმა!
კითქოს ჩეშს ხმაზე ყველა აქ მოვა.
ჩემი ხმის სმენამ ამ უთენია
სულ ყველა ერთად აქ მოაგროვა.
თუნდ ასეც იყოს — მერე ჩემს ხმაზე
რისთვის მოჩბოლი, აბა, მოთხარი?

შოლჩალინი.

თან ქალალდები მომქონდა თქვენთან.

ფამუსოვი.

სწორედ ეგ მაკლდა, კარგი რამ არი!
ნეტა ვიუოდე, ამ აღრიანად
რამ მოგავონა ეგ ქალალდება! (აღვება)
აბა, სონიჩა, შენც მოგასვენებ,
ორერემ უძილოდ დაიქანცები.
თან სიზმრად ვნახავთ საკეირველ რამეს
და ცხადად — უფრო საკეირველებას:
შენც ხომ სიზმარში ბალახს სქებნიდი
და წააწყდო-კი უცბად მეგობარს...
უმჯობესია ეგ სისულელე
დღეიდან თავში არ გაიტარო!
საკა რამ ხდება სასწაულებით,
არაცერია იქ სანეტარო.
წალი ისევე დასაძინებლად! (მოლჩალინს)
წავიდეთ საქმის გასასინჯავად!

შოლჩალინი.

ამ ქალალდებით მიტომ გიაჩელთ,
რომ ყოველივე თქვენ მოგახსენოთ:
არ მოხერხდება, ეს საქმეები
რომ ვაწარმოვოთ ჩეენ უსაბუთოდ:
ჩოგი ერთმანეთს არ ეთანხმება
და ეგიც საქმეს სულ არ ეხება. *

ფამუსოვი.

მე-კი, ბატონო, მხოლოდ ერთს ვშიშობ,
რომ ქალალდები არ მოაგრძოოთ;
და თქენ ამგვარებს როდი ამაცდენთ,
რომ ყოველ წუთას კუდში არ გდიოთ.
ჩემთვის ერთია, ეგ ქალალდები
უსაბუთოა, თუ საბუთებით...
მე ჩვეულება ამნაირი მაქვს:
ხელს თუ მოგაწერ — მერე მშეიღობით.
(მიდის, მოლჩალინი თან მოჰყვება; კარებში მოლჩალინს წინ გაუ-
შეებს).

გამოსვლა მასზო

სოფიო და ლიზა.

ლიზა.

აბა, ჰა, ესეც თქვენი ქეიფი,
თქვენი საცილი და საუბარი!
ნიშნს როდი გიგებ: ამგვარ წამებში
ნიშნის მოგების დრო სულ არ არი-
თვალთ მიბნელდება, სული მეხუთვის,
ხალხი შეიტყობს და ყბად აგილებს,

სოფიო.

ეისაც როგორ სურს, ისე განსაჯოს,
მე ყურს არ ვუგდებ მექორეო სიტყვებს.
მხოლოდ მას ეწუხვარ, რომ მამაჩემი
მეტად ფიცხია, ანხსლი და გულქვა.
მუდამ ასეა და ამასიქით
კარგად იფრქრე, თუ რა მომიერა.

ლიზა.

განა არ ვფიქრობ! კიდევ კარგი, თუ
მე და თქვენ ერთად ორივეს ჩაგვკეტს
და, ლმერთმა ნუ ჰქნას, თუ შეურეკა, —
მოლჩალინს, მე, სხვებს სახლიდან გაგვრეკა.

სოფია.

საკვირველია! ჩვენი სვე-ბედი
თავის ნებაზე მიღის და მოდის:
ზოგჯერ დიდი რამ დანაშაული
სულ უმნიშვნელოდ, ჩუმად ჩაივლის.
პირიქით: როცა არაფერს სწუხხარ,
დროც წყნარად მიღის, გალხენს ტებილი ხმ,
და ბედიც ვითომ კალთას გაფარებს, —
აი, შავ-ბედი აქ გამოტყვება.

ლიზა.

საქმეც ეგ არის! ჩემ სულელ სიტყვებს
მუდამ დასკინით და ყურს არ უგდებთ.
ახლა ხომ მიხვდით ჩემ გულთმისნობას
და, რასაც გამბობ, რათ არ იჯერებთ?
ბევრჯელ გითხარით: ამაო არის
ეგ სიყვარული და ოცნებები;
მამათქვენიც ხომ ისეთივეა,
როგორც სუყველა მოსკოველები.
იმას სიძედ სურს ჩინებიანი,
ჯვრითა და მენდლით დამშვენებული...
მაგრამ სუყველა ჯინჯილებიანს
როდი ამძიმებს ამ დროში ფული.
ჩინებთან უნდა შეძლებაც ჰქონდეს,
რომ თქვენც ხანდახან გამართოთ ბალა...
როგორც სერგი სკალოზუბს უძეს
ტომრით ბაჯაღლო დაუთვალავი,
და ამას გარდა, უეჭველია,
ჩქარა იქნება ის გენერალი.

სოფია.

ვის ეკადრება! ან რა მომასმენს
ფრონტსა და ჯარზე მუდამ ლაპარაკს!
შევიანურ სიტყვას გაცი ვერ იტყვის.
დალრჩობა მიჯობს იმის ცოლობას!

ლიზა.

თუმცა ყბედია, მაგრამ, ეტყობა,
არ უნდა იყოს ეშმაკი გაცი...

გრძნობით, ხალისით, მჭევრმეტყველებით,
გნედა სამჩედრო და გრძა „სტატსკი“,
ვინ არის ისე გამოჩენილი,
როგორც ალექსანდრ ანდრეიჩ ჩაცი?
მიტომ-კი არ ვსთქვი, რომ თქვენ გეწყინოთ,
გარდასულ საქმეს ვინ დააბრუნებს!
მასოვს...

სოფიო.

რა გახსოვს? ის, მართლაც, კარგად
დასცნის ყველას, ხუმრობს და მასხრობს.
ხომ შეიძლება სხვებთან ვიცინოთ,
და მეც ესენი მახარებს, მართობს!..

ლიზა.

მხოლოდ ევ არის? მახსოვს, როდესაც
გამოგეთხოვათ, მწარედ სტიროლა.
„რათ სტირით-მეთქი — ვკითხე — ბატონო,
გამხიარულდით, რა გედარდებათ?“
„რათ ესტირი, ლიზავ? აბა, ვინ იცის,
რასაც აქ ვტოვებ, სრულად დამხედება?“
საცოდაჟს თითქო გულმა უგრძნო, რომ
სამი წლის შემდეგ...

სოფიო.

ნუ კადნიერობ!
მართლაც იქნება ვასულელე რამ,
ამას მეცა ვერძნობ და კიდეც ვნანობ,
მაგრამ სად არის აქ ღალატობა,
ან ვისი, რომ მე მისაყველურონ?
მართალი არის, რომ მე და ჩაცკი
ერთად ესწავლობდით და ვიზრდებოდით,
ერთად ვძყავით, ისე შევთვისდით,
უერთმანეთოდ ვეღარ ვდგებოდით,
მაგრამ ბოლოს-კი ოვითონ მოგვშორდა
და იშვიათად გვესტუმრებოდა.
მერე ისევე დამიახლოვდა,
შეყვარებულად მეჩვენებოდა;
ხან მიწყრებოდა, მებუტებოდა,
ხან ოხუნჯობდა, მჭევრმეტყველობდა.

ნაცნობებს ის ხომ ძალიან უყვართ,
სწორედ ამინაც წაათამაშა:
წარმოიდგინა თავი დიდ ვინმედ
და მოინდომა ქვეყნების დაელა.
ეპ, ჩემთ კარგო, შეუვარებული
ჰქუის საძებრად შორს როდი წავა!

ლიზა.

სით მოგზაურობს, ან რომელ მხარეს?
სთქვეს, წყლებზე არის საწამლებლადო.
ვინ იცის, ავად არც-კია, მაგრამ
სურს გაატაროს მოწყენილი დრო.

ხოჯიო.

ბედნიერებას მართლაც იქ პჰოვებს,
საცა დასაცინს შეხვდება ვინჩეს.
მე-ჟი ვინც მიყვარს, ის სულ სხვა არის:
მოლჩალინი კაცს თავს ანაცვალებს.
სძელს თავხედობა, წყნარია, მშეიდი
და მორიდებით ხმასაც არ იღებს;
ეისთან იქნება, რომ მთელი ღამე
ასე ატარო გათენებამდე?
და, რა გვონია, თავს რით ვიქცევდით?

ლიზა.

როგორ გავიგო ეს, ქალბატონო,
მე ეგ საიდან მეცოდინება?

ხოჯიო.

იღებს ჩემს ხელს, გულზე მიიკრავს.
თვალს არ მაშორებს და ჩუმად ოხრავს...
რა გაყისკისებს! ვითომ რა გითხარ
გასაცინარი?

ლიზა.

შე, ქალბატონო?

თვალწინ დამიდგა თქვენი მამიდა,
აი, ფრანცუზი რომ გაეპარა
და თავის დარდებს ვითომც ჰეთარაცდა.
3. გრიბოედოვი, „ვაი ჰქუისაგან“.

გამოჩერჩეტდა, საწყალი, ფიქრით,
აღარ იცოდა, რა უნდა ექნა:
სულ დააკიწყდა თავის შელებვა
და სამ დღეს უკან წმინდად გათეთრდა. (იცნის).
სოფიო (წყენით).
აი, ჩემზედაც აგრე იტყვიან.

ლიზა.

გთხოვთ გვაპატიოთ. ამ სისულელით
მინდოდა, რომ თქვენ გაგცინებოდათ.

გამოსვლა მიმმავა
იგინივე და მსახური.

მსახური.

ალექსანდრ ანდრეის ჩაცემ გეახლათ! (გადის).

გამოსვლა მაჟილი
სოფიო, ლიზა და ჩაცემ.

ჩაცემ.

ადრე ამდგარხართ! და აი მეცა
თქვენს წინაშე ვარ მუხლმოლრეკოლი.
(მხერვალედ ხელზე პჟოცნის)

აბა, მაჟოცეთ! არ მომელოდით?
სოქვით, ჩემის მოსვლის ხართ მოხარული?

კარგად შემხედეთ: ნუოუ გაოცებთ
ჩემი აქ მოსვლა? რარიგ მექცევით?

ისე ხართ, თითქო ერთი კერძის წინ
ორივ ერთმანეთს თავს ვაზეზრებდით!

ერთი ნამცეციც აღარ გიყვარვართ!
მე-კი სულწისელით აქეთ მოუქროდი,

მოელი ორმოცდახუთი საათი

ამ სანატრელ წამს ველოდებოდი!
ტყუილად თვალიც არ მომიხუჭავს,

შეიდასი ვერსი ისე გამოვვლე.

თავგანწირული ქარსა და ბუქში

გადავდიოდი ყირამალაზე;

და ნაცვალ ვილოდოდ ეს რა მიეიღე!..

სოფია.

ახ, ჩაცეი, თქვენი მიხარის მოსულა!

ჩაცეი.

მოხარული ხართ? კეთილი იყოს!
ეს სიხარულს ჰგავს? აბა, სწორედ სთქვით!
უშეს ყოფილა ჩემი იმედი,
ტულად ვხოლავდი კაცებს და ცხენებს!

ლიზა.

აი, ბატონი, ხუთის წინ
აქ რომ კარებოან თქვენ მღვარიყავით,
ღმერთს გეფიცებით, გაიგონებდით,
რომ ჩენ ორივე თქვენ გახსენებდით.
ხომ, ქალბატონო, თქვენ თვითონ ბრძანეთ!

სოფია.

არა თუ ახლა — მუდამ გახსენებთ,
ლირის არა ვარ საყვედურების.
წამსცლელს და მომსცლელს ვაკვირდებოდი;
ვისაც ვნახავდი, მეზღვაურსაც-კი,
ყველას თქვენს ამბავს ვეუბნებოდი,
თუ შეგხვდნენ სადმე გზაზე მიმავალს
საფოსტო ეტლით...

ჩაცეი.

ესთქვათ, ევრე იყო.

ნეტარ არს იგი, ვინც მორწმუნეა, —
მას აქვს ცხოვრება ოქბილი და მყუდრო.
ომ, ღმერთო! ნუთუ მე აქა ვარ დღეს,
მოსკოვში, თქვენთან, თქვენ სიახლოვეს!
ად არის ის დრო უმანკოების,
როცა ჩენ ორი სალამოობით
ერთად დავჩროდით მოუსვენარად,
ხან აქ და ხან იქ ვიმალებოდით!
ან მამათქვენი „მაღამთან“⁶ ერთად,
ხომ გასსოვთ, „პიკეტს“⁷ რომ თამაშობდა,
და ჩენ ორი-კი იქ ვიკრუნჩხვიდით,
რომელ კუთხეშიც უფრო ბნელოდა!

მცონია, სულაც, აი, აქ იყო...
გახსოვთ, კველისი რომ გვეშინოდა?
ჩეენ თვითონ მთელ სახლს პირქვე ვაშხობდით,
მაგრამ ფეხის ხმა სხვისი გვაფრთხობდა.

სოფიო.

პაცშეობა იყო!

ჩაცირ.

დიახ, ახლა-კი.

როცა ჩეიღმეტის წლის შეიქენით,
იყვავდით წარმტაც მშვენიერებით,
მიტომაც კრძალვით უცქერით ყველას.
სომ არეინ გიყვართ? გთხოვთ მიპასუხოთ
ჩაუფიქრებლად, — და ნურც შექრთებით.

სოფიო.

ვის არ შეაქრთობს ქითხვა ამდენი
და თვალთ ისარი, გულში ჩამწვდენი!

ჩაცირ.

თქვენს მეტი სხვა აქ რა გამაჯვირვებს,
ან რას მაჩვენებს მოსკოვი ახალს?
გუშინ თუ ერთგან ბალი⁹ გამართეს,
ხევალ ორ ადგილის გამართავენ ბალს.
ერთმა შეირთო, მეორემ ვერა —.
აი ქალების მუდმივა ჭორი.
ისევ ალბომში¹⁰ ლექსების ბლავნვა,
ქალთა საქები და მოსაწონი!..

სოფიო.

მოსკოვს აძავებთ? აი რას ნეშნავს,
როდესაც კაცი სხვა ქვეყნებს ნახავს!
ესთქვათ, ღიასიც არის ძავების, მაგრავ
მაინც სადა სჯობს?

ჩაცირ.

სადაც ჩეენ არ გართ!
მამა რასა იქნ? ინგლისურ კლუბსა¹⁰
ისევე უწევს მუდმივ წევრობას?
ან ბიძაოქვენი გასცდა თუ არა

ამ წეოისოფლის საშიშარ საზღვარს?
 ის რალას შვრება, აი, ის ვიღაც...
 თურქია, ვგონებ, თუ ბერძნენია...
 ის ყლაყუდა... ველარ ვიგონებ...
 წეროს ფეხები რომ გამოჰმია?
 სადაც არ გინდა, მას წააწყდები,
 სასტუმროებსა თუ დარბაზებში.
 ან და ისინი რალას შვრებიან,
 მუდამ ბულვარზე რომ სეირნობენ?
 ორმოცდათ წელს გადააბიჯეს
 და მაინც კიდევ ახალგაზრდობენ;
 ნათესავები მილიონი ჰყავთ,
 დების წყალობით ყველას იცნობენ.¹¹
 ან ის, ჩვენი მზე, ჩვენი საუნჯე,
 უქმად ნაშობი, უქმად ნაზარდი,
 რომელსაც შუბლზე მიწერილი აქეს
 მუდამ თეატრი და მასკარადი.
 თეოთონ მსუქანს და ლიპგადმოგდებულს,
 არტისტები რომ ძეგლ-ტყავეს მოუგაეს.¹²
 ხომ გახსოვთ, ერთხელ ბაღში ჩვენ თრმა
 ფარდას უკან რომ ვიპოვეთ კაცი?
 იადონიერი რომ გასძახოდა
 ზაფხულის კილოს სისხლმა ზამთარში?
 ის ჭლექანი თქვენი მოყვარე,
 მწავლულთ კომიტეტს¹³ რომ შეესახლა
 და ხატს და ჯეარზე ხალხს იფიცებდა,
 რომ წერა-კითხვა არვის ესწავლა?
 ბედმა მარგუნა კვლავ მათი ნახვა...
 ან-კი ვის ნახავ ქვეყნად უცოდველს!
 როცა შორიდან შინ დაბრუნდები,
 სამშობლოს კვამლიც მოგაფენს ნათელს
 ხოდიო.

თქვენ დეიდაჩემს უნდა შეგუაროთ,
 რომ ნაცნობები სულ ჩამოსთვალოთ.

ჩაცე.

მართლა, დეიდა! ისევ დედოფლის
 ხელე-ქალადვე ითვლება, არა?¹⁴

არ გათხოვილა? მოწაფეებით²³
 და ფინიებით სახლს აესებს, განა?
 აბა, სწავლაზეც ვილაპარაკოთ.
 ახლაც ისეა, რაც იყო წინათ?
 კიდევ სცდილობენ მასწავლებლები
 ბევრი მოპერიბონ და თან იაფად?
 ცოდნით აღჭურვილს ხომ არ ექებენ:
 ჩუსეთში ასე ნაბრძანები გვაქვს
 და ჯარიმასაც ვიხდით მის ნაცვლად,
 თუ რომ სუყველა არ მივიჩნიეთ
 ისტორიებსად და გეოგრაფად.
 ხომ გახსოვთ ჩვენი მასწავლებელი,
 თავისის ქუდით, ქრელის ხალათით,
 თითის ჩვენება, ნიშნები სწავლის,
 და ჩვენც, ბავშვები, როგორ ვკვირვობდიო!..
 ეჭ, როგორ აღრე გვაჩვევდნენ იმ აზრს,
 რომ უნემცემოდ ნუ ველითო ხსნას.²⁴
 გილიომე ფრანგს, იმ ღარიბ-ღატაკს,
 ნეტავი ცოლი ხომ არ შეურთავს?

სოდიო.

ვის შეირთავდა?

ჩაცეი.

გინც უნდა იყოს.
 აი, თუ გინდათ, ერთ-ერთ კნეინას,
 ანდა პულხერია ანდრეევნას.

სოდიო.

ტანცმეისტერი! როგორ იქნება?

ჩაცეი.

შერე რა? ის ხომ ყველას კავალრობს²⁵
 ბრალი ჩვენი, რომ დიდმალ შეძლებას.
 და თანაც ჩინებს საცოლე მოგვთხოვს!
 გილიომე კი... აქ რას შერებიან
 დიდ ყრილობებსა და მოლხენაში?
 ჩვეულებრივად კიდევ ურევენ
 ნიუეგორიოდულს ფრანგულ ენაში?

სოფია.

ენათ შერევა?

ჩაცერ.

დიახ, ორ ენათ —

აბა, უმისოდ რა შეიძლება.

სოფია.

ორივე ერთად რომ გადააღნონ,
თქვენ ერთის ენად არ გამოდგება.

ჩაცერ.

სხვასავით მაინც არ ვიბერები.
და თუ ამ წუთში ბევრს ვლაპარაკობ,
ვამომაცოცხლა დღეს თქვენმა ნახვიშ
და ამ შემთხვევათ მეტა ვსარგებლობ.
განა არ არის ისეთი დრო, რომ
მე მოლჩალინზე ბრიყვი ვარ უფრო?
მართლა, სად არის ეს მოლჩალინი?
ენის ბოლქომი ჯერ არ გააღო?
თუ რამე ლექსებს დამინახავდა,
უთუოდ მთხოვდა და ვადიწერდა...
ეჲ, ნახაეთ, აბა, თუ მოლჩალინი
რამე დიდ ადგილს ხელში არ იგდებს.
ეს ასე არის: ახლანდელს დროში
უფრო სწყალობენ ენოვან შუნჯებს...

სოფია (განხე).

სწორედ გველია! (ხმამაღლა)

მინდა რამ გვითხოთ;
რომ არ მომხდარა: ან სიცილის დროი,
ან მწუხარებით იყავით ოდეს,
რომ სხვაზე კარგი წამოგცდენდესთ?
ახლა თუ არა, თუნდ ბავშვობაში.

ჩაცერ.

რისთვის გადასწევდით ჩემს ყმაწეილობას,
როდესაც ხედავთ ჩემს მოქმედებას:
თავმოძრლებულს თოვლისა და ბუქში

ყურს მიყრუებდა ზარის წყარუნი,
დღისა და ღამის განურჩეველად
თქვენები მოვეროდი გახირებული.
და როგორ დამხვდით? ცივად, მრისხანედ.
ამ გულცივობას ვუმზერ და ვითმენ.
დამგვანებიხართ ლეთისმოსავ წმინდანს,
მაინც უგონოდ მიყვარხართ მე თქვენ. (ერთ წუთს
გაწუმდება)

ყური დამიგდეთ: ნუთუ ჩემს სიტკვებს
ვჩება რამ მოაქვს, სხვას ეკლად ჰევდება?
თუ ასე არის, უნდა ეფიქროთ,
რომ გულს ვონება არ ეთანხმება.
მე დასაცინარს ერთხელ დავცინებ,
მერე-კი მალე დამვიწყდება;
თქვენ რომ მიბრძანოთ — ცეცხლში დავიწყი.

სოფიო.

კარგი, თუ დაგწვათ, მავრამ თუ ეერა?

გამოსვლა მიჩნევა

იგინივე და ფამუ სოვი.

ფამუსოვი.

ესეც მეორე!

სოფიო.

ხედავ, მამილო,

როგორ აცხადდა ჩემი სიზმარი? (ლიზა და სოფია
მიღიან)

ფამუსოვი (ჩუმად მიაძახებს).

ის დაწყევლილი შენი სიზმარი!

გამოსვლა მიცხელა

ფამუ სოვი და ჩიცეი.

ჩაცეი (მისჩერებია იმ კარებს, საიდანაც სოფიო გავიდა
ფამუსოვი.

რა თინი ჰქენ? მთელ სამ წელიწადს
ორი სიტჭვაც კი აღარ მოგვწერე

და თაეს დაგვეცი მოულოდნელად
ცის ქუჩილივათ. (ეხევეიან ერთმანეთს)
ხომ კარგადა ხარ, აბი და აბი და აბი
ძმავ, მეგობარო. ალბათ, მზადა გაქცეს
დიდი ამბების დიდი კრებული.
აბა, დაჯექ და მოჰყევი ჩქარა. (სხდებიან)

ჩაცება (დაფანტულად).

სოფი პაელოვნა რა საოცარად
დამშენებულა, აყვავებულა!

ფამუსოვი.

უმაწვეილ კაცებს ხომ სხვა საქმე არ გაქცო,
უნდა შენიშნოთ ლამაზი ქალი.
გიოხრა, უთუოდ, რამე გადაკვრით
და შენც იმედით ხარ მოხიბლული!

ჩაცება.

სრულიად არა: მე იმედებით
ნებიერებას არ ვარ ჩვეული.

ფამუსოვი.

„სიზმარი ახდა“ — წამჩურჩულა მე,
და ამან სწორედ შენც ჩაგაფიქრა.

ჩაცება.

მე? სულაც არა.

ფამუსოვი.

ვინ დაესიზმრა?

ჩაცება.

მე როდი ვიცი სიზმრების ახსნა.

ფამუსოვი.

ყურს ნუ ათხოვებ. სისულელეა.

ჩაცება.

მე ვერწმუნები საკუთარ თვალებს;
ხელწერილს დაგსდებ, რომ მისი მსგავსი
ჩემს სიცოცხლეში არსად მინახავს,
ცოტათი მგვანეც არ შემხვედრია.

ფამუსოვი.

ეს ისევ ისე თავისის ჩინახაეს!
მიამბე რამე, რას აკეთებდი
ამ სამ წელიშადს, სად მოგზაურობ,
რა ინახულე, სიდან მოდიხარ?

ჩაცერ.

განა მე ახლა მაგაზედ ვფიქრობ?
მინდოდა მთელი ქვეყნების დაცლა
და მესაედიც ვერ მოვასრარი. (საჩქაროდ ადგება)
კოხოვთ მაპატიოთ, ოქვენს სანახავად
ვმოვეშურე, შინ არ ვყოფილვარ.
მშვიდობით! ყველას წერილად გიამბობთ
ერთს საათს შემდეგ კიდევ შემოვალ!
მერე სუკველას თქვენვე უამბეთ. (კარებთან)
რა ლამაზია! (გადის)

ფამუსოვი

(მარტო) ორში რომელსა?
„ახ, მამავ, ახდა ჩემი სიზმარი!“ —
ამბობს ხმამაღლა, მოურიდებლად.
აღარა ვიცი, რა მოვისაზრო!
ეპვი აღმიძრა დღეს მოლჩალინმა;
ეხლა-კი... სწორედ ამაზე ითქმის —
ვაის გავშორდი, უის შევხვდიო:
ის ლატაჭია, ეს მფლინგველია,
სჭირს სიმაყე და ქედმაღლობა!
რომ, შემომქმედო, რა სასჯელა
გისათხოვარი ქალის მამბა!

(ფარდა)

ԹԱԺԹԱՋԵՒԱ ԹԱՌԻՄ

ՑԱՑԱՏԱՑԱԼԱ ՑՈՒՑԱԾՈ

ԴԱՑԱՑԱՑԱ ՃԱՑԱՑՈ.

ՀԱՅԱՍՏԱՆՈՅ.

Ֆերմանից, հաս, հոմ և լուս պատճեռություն
 մաշրաւ եար ուղարկած աշխարհուն!—
 մոնիւր այս ազ քալենդարու,
 պատճեռուն մենա, եղանակուն!—
 գուշականություն նշյու գաածամ—
 շուլդասմուտ, շրմենմուտ ցածարքունք.
 ժայռու, ո մագ զարդարնե հանունք:
 մոմացալ կարուս գլուխու սամածառս
 մյ ձիսկայուս ցեռօռորունքաս
 շնձա ցերտու անալ քալմանին.
 սայցարքալուս մայսնուս գահենա!
 Ծանոն ցըրեա, հոմ դապոյշրդյան!
 եան մանուրու եար, եան սկյամ սամ սատու
 դա մոնելցած սամ գլուս շնդյան!
 անա, հանունք: մայս սամածառս...
 մաշրամ մոնու, — առա, եղտմածառս
 շնձա դացեսթիրու մյաջրուս ցաւցենցած.
 յէ, ադամուս մյու! հողուր օցանիպէ,
 հոմ ոմ Յարարա պատս ցյու սեւցյան.
 ոյ շնձա համբաւ, սալաւ շմկլուրու
 ցըրարու ադցյան դա ցըրու դաշդյան.
 մաշրամ ցուսաւ սարս, հոմ եալս աելուցյուն,
 ոմ ցանկացենք սալս շնձացյան:
 մուսպէս սասաելուս յամերցյան



და გასაღები გვერდზე დაპერდეს; ¹⁸
 შეილსაც უშოვნა ეს გასაღები
 და ჰპატრონობდა დიდიალ სიმღილეს!
 მოკვდა, მის სიკედილს სუყველა ნანობს:
 კუზმა პეტროვიჩ, ღმერთმა აცხონოს!
 კვე, რამოდენი დიდიკაცობა
 ამ ჩვენს მოსკოვში ცხოვრობს და კვდება!
 მანდევ ჩანიშნე: იმავ ხუთშაბათს...
 მაგრამ მოიცა, იქნებ პარასკევს,
 იქნებ შაბათსაც... ექიმის ქვრივმა
 მე ბავშვი უნდა მომანათვლინოს.
 თუმც არ უშვია ჯერ, მაგრამ ჩემის
 ანგარიშითა უნდა დაპბადოს.

გამოსვლა მეორე

ფამუსოვი, მსახური და ჩაცეი
 ფამუსოვი.

ააა, ალექსანდრ ანდრეიიჩ, გთხოვთ,
 მობრძანდით.

ჩაცეი. იქნებ არა გცალიანთ?

ფამუსოვი (მსახურს).

წადი (მსახური გადის).

დიახ, აქ სხვადასხვა საქმეს
 წიგნებში ვნიშნავ, არ დამაკიწყდეს.

ჩაცეი.

თქვენ დღეს როგორლაც მოწყენილი ხართ!
 იქნებ მე მოველ აქ უდროვო დროს?
 გამაგებინეთ: სოფი პავლოვნას
 ხომ არრა სტკივა, ან არას დარღობს?
 მავ თქვენს სახესა და მოძრაობას
 ეტყობა რაღაც დაღვრემილობა.

ფამუსოვი.

ჰო! კარგად მიხედი! ჩემხელა კაცი
 მაშ ასკრუილას ხომ არ მოჰყება!

ჩაცეთ.

ვინ გეხვეწებათ! მე მხოლოდ გუითხეთ,
ხომ არჩა სტეივა სოფი პავლოვნას!

ფამუსოფი.

ფუი დაწყევლოს ჩემმა გამჩენმა!
ერთს და იმავეს ათასჯერ მკითხავს...
„ხომ ყველასა სჯობს სოფი პავლოვნა!“
„სოფი პავლოვნა ხომ არას დარღობს!“
გამოტყდი — მოგწონს? ქვეყანამოვლილ
იქნება გსურდეს ცოლად შეირთო?

ჩაცეთ.

მერე თქვენ რაო?

ფამუსოფი.

ცუდი არ არის,
რომ დამეკითხოთ. მოგეხსენებათ,
რამოდონიმედ ვარ ნათესავი, —
ტყუილად როდი მეძახდნენ მამას.

ჩაცეთ.

თუნდაც მინდოდეს, თქვენ რას მეტყოდით?

ფამუსოფი.

მე გეტყოდი, რომ ნუ ბეღოვლათობ!
კარგად არ უვლი, ძმობილო, მამულს,
და — უმთავრესი — არსად მსახურობ.
უნდა მიბრძანდე და იმსახურო.

ჩაცეთ.

სიამოვნებით, მხოლოდ ვერ შევძლებ,
რომ სამსახურში ვიყო.

ფამუსოფი.

საჭმეც ეგ არის, რომ კუდაბზიკობთ
და უფროსთაგან არაფერს სწავლობთ!
რას აკეთებდნენ თქვენი მამები,
როდი დაეძებთ, არც-კი ჰყითხულობთ!
ჩვენ, მაგალითად, ან და ბიძია

მაქსიმ პეტროვიჩს, სულგანათლებულს,
 ოქროს ქურმლებით აქმევდნენ საჭმელს,
 გინ შეჰქადრებდა იმას ვერცხლეულს!
 მუდამ თავს ადგა ასი მსახური,
 სულ ჯილდოებში იყო ჩამჯდარი.
 მიპეტრი-მოპეტროდა და იმისათვის
 სულ ღია იყო სასახლის კარი:
 სასახლის, მერე ვისი სასახლის!
 წინანდელი დრო ახლანდელს არ ჰევეს!
 ეკატერინე¹⁹ ხელმწიფეს ახლდა
 და სუყველანი მის საცემდნენ თაყვანს.
 დარბაისელთა დიდებულ სალამს
 ბევრჯელ პასუხსაც არ აღირსებდა,
 სხვები რომ მიწას დაემხობოდნენ,
 ივი თუ ოდნავ თავს გადუქნევდა!
 წარჩინებული მით უფრო იყო
 და სასახლეში ტოლი არ ჰყავდა,
 რომ, სუყველაურით განსხვავდეს.
 სულ სხვინაირად სჭამდა და სეამდა.
 თვითონ ბიძია თავადსა და გრაფს
 პეტუითა და ზნით ვარა არ სჯობდა?
 მაგრამ, როდესაც საჭირო იყო,
 წელში ასკეცად მოიხრებოდა...
 ერთხელ უცირად ფეხი გაუსხლდა,
 ძირს გაიშხლართა მოლად მოწყვეტილი..
 მოხუცს კინაღამ შებლი გაუტყდა,
 ძლიერ-ლა პეტერითა ხმაჩხლეჩილი,
 და მას უმაღლეს ჯილდოდ ებოძა
 ხელმწიფისაგან ნაზი ლიმილი!
 ღიას, ინგრა ზან ვაკინება!..
 ის კი წამოდგა, კარგად გასწორდა,
 სურდა მეფისთვის თაყვანი ეცა.
 ვამოიჯაგიმა, მაგრამ მუორედ
 თვით ხელმწიფის წინ განვებ დაეცა!
 სიცილს და ბაზარს უფრო უმატეს,
 ორჯელ დაცემას მესამეც მოპყვა...
 და თქვენ რას ჰეთერობო? ჩვენის აზრით-კი,
 მძიმედ დაეცა და მჩატედ ადგა...
 სამაგიეროდ, ვის ჰიტიერობდნენ?



ლიდა ვის პქონდა სასახლის კარი? —
მაქსიმ პეტროვიჩის! ვის ამაღლებდნენ? — უკიდურესია
მაქსიმ პეტროვიჩის! ხუმრობა არი?!
ჩინს იღებს ვინმე, ანდა პენსიას,
ვისი წყალობით. ვის უძაფლიან? —
მაქსიმ პეტროვიჩის! ხუმრობა არი?!
ერთი მიბრძანეთ, რა შეგვიძლიან?

ჩაცკრ.

თორქო ქვეყანა გასულელდაო,
გულის ტკივილით უნდა იღნიშნოთ!
რა სათქმელია, რომ უწინდელ დროს
ეს ახლანდელი დრო შეადარიოთ?
როცა ვანკევრებავთ ძევეს და ახალს დროს
და ერთმანეთს მათ შეადარებთ, —
სულ იხალია ეს ვადმოსუება.
ცხადია, მაგრამ ვერც-კი იჯერებთ.
მას ადიდებდნენ, რომლისც ქედი
ეფრო ხშირი-ხშირად ძირს იხრებოდა,
ვისაც უმრავ, მოსკენების დროს,
ცხოვრების ბურთი შუბლით გაპქონდა...
იატაკზედაც თაეს დაარტყამდნენ,
თუკი საჭირო შეიქნებოდა
თუკი უჯობდა, თვით ღატაკიც-კი
თაეს იწონებდა, ტოლი არ ჰყავდა,
მაგრამ თაეისთან უფრო მაღალთან
ქება-დიდებას ჩლართავ-ქსელავდა.
მონობისა და ჟიშის დრო იყო, —
ამით იჩენდნენ მეფის, სამსახურს...
მე ბიძათქევნებ არ მოგახსენებთ,
ნუ შევაწუხებთ ვადაცვალებულს! —
მაგრამ ჩვენს დროში ვინ მოისურვებს,
თუნდაც სხვები ყმა, ან მონა იყოს,
რომ ხალხის სიცილს დაუნანებლად
თაეის შუბლი მსხვერპლად შესწიროს?!
მისი ტოლნი კი, მოხუცებულნი,
სხვის ამაღლებას როცა ჰედაედნენ,
„ნეტა მე მქნაო“ — ამბობდნენ ახვრით
და თაეის ქერქში შერით დნებოდნენ.

თუმცა სულმდაბალთ ახლაც ბევრს ნახავთ,
მაგრამ ამგვარებს ყველა დასტინის
და ლირსიც არის, თუ უფრო უხვად
არ ებოძებათ მათ ჯილდო მეფის.

ფამუსოვი.

ოხ, ღმერთო ჩემთ! კარბონარია! ²⁰

ჩაცე.

არა, სულ სხვაა ახლანდელი დრო!

ფამუსოვი.

ამას სუჟეტია უნდა ერიდოს!

ჩაცე.

ყველამ ნებაზე ამოისუნთქა,
თავისუფლების ახლა მეტსა ჰერქნობს
და როდი სცდილობს, როდი ისწრაფვის,
რომ მასხარათა გუნდს ჩაეწეროს!

ფამუსოვი.

ნეტა რას ამბობს! როგორადაც სწერს,
ლაპარაკიცა იმგვარი იცის!

ჩაცე.

ეახლოს თავის მფარველ-მშეკალობელს,
ამთქნაროს, ჭერზე ბუზები სთვალოს,
სკამი მიართვას, თან ხელმანილი,
კარგად გამოძლეს და იმასხაროს.

ფამუსოვი.

ეს გვიქადაგებს თავისუფლებას!..

ჩაცე.

ზოგმა ისურგა მოგზაურობა,
ზოგიც თავისთვის სოფელში ცხოვრობს...

ფამუსოვი.

ეს მთავრობასაც არაფრად აგდებს!

ჩაცყი.

ზოგი თვით საქმეს ემსახურება,
და არა ვისმეს პირადობასა...

ფამუსოვი.

მე კი სასტიკად სულ ავტომატური,
რომ თქვენისთვის გაებატონები
სატახტო ქალაქს არ შემოეშვათ.

ჩაცყი.

ღასასრულ, მოგცემთ თქვენ მოსევენებას...

ფამუსოვი.

ბოლო მოელო ჩემს მოთმინებას!..

ჩაცყი.

თქვენს დროს ელანძლავდი შეუბრალებლად
და ოქვენც ნება გაქვთ სამაგიეროდ
ცოტათი მაინც შეეხოთ ჩემს დროს
და რამე წუნი გამოუძებნოთ.
ასეც რომ იქნეს, როდი ვიტირებ!

ფამუსოვი.

თქვენი არა მწამს, არც რამე მინდა!
უწმაწურობას ყურს ვერ დავუგდებ!

ჩაცყი.

მე ესთქვი, რაც მსურდა.

ფამუსოვი.

დავიცეი ყურები!

ჩაცყი.

რათა? თქვენს სმენას მე არ ვეხები!

ფამუსოვი (ჩემარა ამბობს).

ამათგან უნდა კარგს მოველოდეთ?
ეს უსაქმურად მაწანწალები!

ჩაცყი.

მე გავათავე!

ფამუსოვი. გოხოც, შემიბრალე!

ჩაცენ.

მე როდი მინდა დავის განგრძობა!

ფამუსოვი.

მაცალე მაინც, სული მოვითქვა.

გამოსვლა მისამი
იგინივე და მსახური.

მსახური.

პოლკოვნიკი სკალოზუბი გეახლათ!

ფამუსოვი (არაფერს ხედავს და არც ესმის).

შენ სასამართლოს არ აგაცდენენ.

ჩაცენ.

თქვენთან ვიღაცა სტუმრად მოსულა!

ფამუსოვი.

მე არა მესმის! სამართალს მიგცემ!

ჩაცენ.

ბიჭი გეახლათ მოსახსენებლად.

ფამუსოვი.

არა მესმის-არა! სამართალს-მეთქი!..

ჩაცენ.

მობრუნდით, რაღა! თქვენ გემახიან!..

ფამუსოვი (მობრუნდება).

ჰა? აჯანყდნენო? მე ისე ველი
სოდომ-გომორის არევ-დარევეას!

მსახური.

აქ პოლკოვნიკი სკალოზუბია:
გოხოვთ თუ არა? ველი ბრძანებას.

უამუსოვი (წამოდგება).

ვირებო! ასვერ გავიმეოროთ?
მიიღე, სოხოვე, უთხარ — შინა ვარ
და მისი ჩემთან მობრძანებისა
დიდად და დიდად მოხარული ვარ.
გასწი საჩქაროდ! (მსახური გადის)

თუ ღმერთი ბწამდეს,

იმასთან მაინც ურთხილად იყავი:
ის სხვა ვინმეა, ყველგან ცნობილი,
დარბაისელი, შესანიშნავი.

* კანსაკუთრებულ გმირობის:თვის
მრავალი ჯილდო მიუღია მას,
და რაც იმის ხანს შეეფერება, --
იმისდა კვალად ჩინიც დიდი აქვს.
პოლკოვნიკი! და დღეს თუ არა,
ცვალ გენერლობას გვერდზე ვაკრავ.
თუ ღმერთი გწამდეს, იმასთან მაინც
დინჯად იყავი, თავდასკრ-ლად.

ოოჲ, ალექსანდ ანდრეეჩ, ქმაო,
ცუდად იქცევი, ძალასნ ცუდად..
ის ჩენთან ხშირად დაიარება

და მეც, ხომ იყი, სტუმარი მიყვარს!
ახლა მთელს მოსკოვს ყბად აუღია,
რომ სკალოსები სოფიო! იწთავს!

სულ ჭორი არის! იქნება იშას
სულით და გელით კიდეც უნდოდეს!

მე კი მაგრიგად არ მეჩქარება,
რომ ჩემი ქალო აღრე გათხოვდეს.

სოფიო ჯერ ხომ ახალგაზრდაა!

მაგრამ რაც ღმერთს სურს, იყი მოხდება!

შენ კი ამას უოხოვ, შენი აშრები
იმასთან მაინც ნც წამოგცდება..

კი არა სხანს და... რა მიზეზია?

უკუოდ იგი ჩემს ოთახშია!.. (საჩქაროდ გადის).

გამოსცლა მარტინ

ჩაცემა მარტინ.

ჩაცემა.

როგორ ფუსცუსებს!.. რა ამბავია?!!
სოფიო! ეგებ მართლა საქმროა!
მე კი ახლოსაც აღიარ მიკარებს!..
საქმრო რომ იყოს, აქ არ შემოვა?
ვინ უნდა იყოს ეს სკალოზუბი,
რომ მამა ასე ბოდავს მის სახელს?
ვინ იცის, ეგებ მამას კი არა,
შეილისაც ყოველ წელს იგი ახსოვდეს!..
ეს! ის სიყვარულს გამოიხალმოს,
ვინც სამს წელიწადს სატრფოს განშორდეს!..

გამოსცლა მახუთა

ჩაცემა, ფამუსოვი და სკალოზუბი.

ფამუსოვი.

სერგეი სერგეინი! აქეთ, ჩვენს ახლოს!
აქ უფრო თბილა! უმდაბლესად გთხოვთ!
მგონი, გაჲყინდით! ფეხის სახურავს
ეხლავ გამოვწევ, ხელად გავათბობთ.

სკალოზუბი (ბოხი ხმით).

თქვენ, მაგალითად, რისოვის სწუხდებით,
ამსიმალლეზე სად აბობლდებით!
ვით პატიოსანი მხედარს, მრცევენია.

ფამუსოვი.

ნუთუ გულითად მეგობრისათვის
ფეხის გადადგმაც არ შემიძლია!
სერგეი სერგეინი, ჩემთ ძეირფასო,
დადეთ ეგ ქუდი, ხმალი მოისსენთ!
აი დივანი, როგორც გიამოთ,
შინაურულად მოიკალათეთ.

სკალოზუბი.

საკა მიბრძანებთ, ოლონდ-ქი დაეჯდე!



ფამუსოვი.

ოჲ, ბარემ გეტყვი, არ დამავიწყდეს:
ნება გვიძოძეთ ჩევენც შევერტდეთ,
ოუნდაც შორეულს; თქვენს, ნათესავებს.
სამეციდროს კი არ შევეცილებით...
ვერ ვიცნობდი და გაცნობისათვის
თქვენს ბიძაშვილსა ვწირავ მადლობას...
ნათესავია თქვენი, არ იცნობთ
ანასტასია ნიკოლაევნას?

სკალოზუბი.

უკაცრავად ვარ, მაგრამ არ ვიცნობ,
ჩენ ერთად არსად გვიმსახურნია!

ფამუსოვი.

სერგეი სერგეი! ნუთუ თქვენ ხართ ეს!
მე კი ნათესავს სხვაფრივ ვაქცევი.
მევე მოვძებნი! გინდა ზღვის ფსკერში
რომ იყოს საღმე, — იქაც ჩავწვდები.
ჩემთან უცხოებს ძეირად შეხვდებით,
ეინც კი შისახურობს, ყველა ჩემია:
ზოგი დისტული, ცოლის დისშვილი,
თითქმის სუყველი ნათესავია.
ერთი შეავს უცხო, — ეს მოლჩალინი,
ისიც იმიტომ, რომ შრომა უყვარს!
ჯილდოს ვუშოვნი, ან ადგილს ვისმე,
ბარემ ვაამო ჩემსავ ნათესავს!..
აკი თქვენმა ძმამ ²¹ მიამბო, რომ თქვენ
მას სამსახურში უხვად სწყალობდით. ²²

სკალოზუბი.

რეაას ცამეტში მე და ჩემმა ძმამ
თავი ფრინეთ ბრძოლაში ერთად —
მეოცდასორთ ეგერში, შემდეგ
რომ გადასცეალეს ორმოცდახუთად. ²³

ფამუსოვი.

ბედნიერია, ვისაც მაგეოთ
გამოჩენილი ვაეიშვილი პყავს!

იმას, მცონია, სხვა ჯილდოს გარდა
„ვეტლიუაზედაც“ კიდევ ჯვარი აქვა?

სკალოზუბი.

სამის აგვისტოს გამარჯვებისთვის,
ჩოცა იდუმალ მტერს ჩავუსაფრდით.
მაშინ ჩვენ ორმა ჯილდოდ მივიღეთ:
მე ყელის ჯვარი, იმან კი — ბანტით.

ფამუსოვი.

მართალი გითხრათ, იმ თქვენს ბიძაშვილს
სუჟეტა აქვას, ჩინებულია!

სკალოზუბი.

კი, მაგრამ აზალ აზრებს გადაჰყეა,
თანამდებობას სულ ვერ ითვისებს.
ჩინს მიიღებდა, მაგრამ გაიქცა,
სოფელში ზის და კითხულობს წიგნებს.

ფამუსოვი.

აი ბავშვობა!.. წიგნების კითხვა...
თქვენი მოქუცეა მოსაწონია,
დადიხანია პოლკოვნიკი ხართ
და რაც მიახურობთ — ცოტა ხანია.

სკალოზუბი.

ამხანაგებში ბედი მაქას სწორედ, --
ჩემთვის ადგილი შედამ იცლება:
ზოგს ჩინით უფროსს მოხსნიან უცებ,
და ზოგიც, --- პხედავ, -- ბრძოლაში კედება.

ფამუსოვი.

ოლონდაც! ეისაც ღმერთი მფარველობის,
მას წარჩინება არ მოაკლდება...

სკალოზუბი.

ზოგი ჩემზედაც ბედნიერია:
აი ბრიგადის თუნდ გენერალი
ჩვენს მეხუთმეტე ღივიზიაში.

ფაშუსოვი.

თქვენი კირიმე! თქვენ რა გაქლიათ?

სკალოზუბი.

როდი ვემდერი არ დამივიშუეს,
ოუმცა ესეც-კი სათქმელი არის,
რომ ორს წელიწადს პოლკი არ მომცეს.

ფაშუსოვი.

მერე რა ცუკოთ! სამაგიეროდ
ამხანაგები უკან ჩამოვრჩნენ.

სკალოზუბი.

კორპუსით ჩემზე უფროსთაც ნახავთ:
მე რვაას ცხრილან ვარ სამსახურში!
ჩინის საშოგნად ბევრი ვზა არის
და მეც ამაზე სწორედ ბრძნელად ვსჯი...
მხოლოდ მივიღო გენერლის ჩინი.

ფაშუსოვი.

მშვენიერად სჯით, ღმერთმა გიშველოთ!
არ მოგეშალოთ სახელ-დიდება
და გენერლობაც ჩქარა მიგელოთ.
მერე კი დიდს არ დაეგვიანებთ,
გენერალშაზეც კი ვილაპარაკებთ!..

სკალოზუბი.

ცოლი შევირთო? მე თანახმა ვარ!

ფაშუსოვი.

აქ ხომ ქალები ურიცხვი არი!
ზოგს დასწული ჰყავს გასაოჩეოები,
ზოგს ბიძაშვილი, ზოგს და, ზოგს ქალი.
წლითი-წლობამდე სულ ეძატება...
მოსკოვის მსგავსსა სად ნახავთ ქალაქს!
არა, გეთაყვა, მართალს არ ვამბობ?

სკალოზუბი.

დიახაც! მოსკოვს დიდი სიცრცე აქვს.

ფამილიები.

საქმე გემოა, ჩემო კეთილო,
 და ყველაფერში წესიერება!
 იქ, მაგალითად, იმ წესს მისდევენ,
 რომ მამისდაგვარ შეიღს პატიცს სცემენ!
 გინდ ცუდიც იყოს, თუ ყმა-მამულის, ვა
 პატრონი არის, ქალს მას მისცემენ,
 და სხვას, ასწილად რომ სჯობდეს ჰქუმით,
 ტყუილად სახლშიც არ შეუშევებენ.
 აქ ჯერ ისევე მტკიცედ იცავენ
 აზნაურობას და თავადობას!
 განა მარტო ეს? აბა დაპირედეთ
 ჩვენს პურმარილსა და გულუხვობას!..
 მოსელა სურს ვისმე, — მობრძანდეს! კარი
 ლია დახედება ნაწვევს, უწვეველს.
 ყველას ერთგვარად შივეგებებით
 და უმეტესად ვინმე უცხოელს.
 კინდ კარგი იყოს და გინდა ავი,
 სუსკელასათვის სუურა მზად არის.
 და რომ გასინჯოთ თავით-ფეხამდე,
 ყველა მოსკოველს სხვა დაღი აზის.
 აი დახედეთ ჩვენს ახალგაზრდებს:
 ჭაბუქ შეილებსა და შეილიშვილებს!
 ისე ვწერინით, რომა თხუთმეტის წლისა
 თვით მასწავლებლებს გადააკარბებს.
 ჩვენი ბებრები! თუ ერთი ასტყდნენ
 და სჯა დაიწყეს რამე საქმეზე? —
 რასაც იტკვიან — განაჩენია...
 სუსკელა ტახტის აზნაურია.
 წარბსაც ერავინ შეახრევინებთ!
 მათ არავისი არ ერიდებათ.
 მთავრობაზედაც ნან ისე სჯიან,
 რომ გაიგონთ, — გაგიკვირდებათ!..
 ეთომ ახალი შემოილონ რამ?
 არასდროს ამას ღმერთმა გვაშოროს!
 არა! უბრალოდ ახირდებიან
 ხან ერთ რამეზე, ხან მეორეზე
 და უფრო ხშირად სულ არაფერზე...

იყიდეთებენ, იხმაურებენ
 და ამნაირად დაიშლებიან.
 მთავარ კეზირნი არიან, კუუით,
 თუმც სამსახურის გარეშე მკოცნი.
 ამასაც გეტყვით, რომ უიმათოდ
 ჩეებში ვერაფერს გააქეთებენ.
 ახლა ქალები! ერთი გაპელონ
 და მოინდომონ მათზე უფლება!..
 თვითვე არიან სხევების მსავალნი
 და მათი მსაჯულად ვინდა იქნება!..
 ბანქის თამაშში რომ იგროვებენ
 და ერთხმად შევჭმნენ ჩხუბსა და ყაჟანს, ...
 ვაი იმ წუთში მათს მაყურებელს,
 მის ყურთასმენას და მყუდროებას!..
 მეც მყავდა ცოლი, ვამოცდილი ვარ!
 რომ უთხრათ, ჯარსაც კი უსარდლებენ,
 თვით სენატშიაც ²⁶ რომ გააგზავნოთ,
 არ შედრებიან და იქცა წავლენ.
 აი ვინდ ირინა ვლასიევნა!
 ან ლუკერია ილექსეევნა!
 გინდ ტატიანა იურიევნა!
 ანდა პელხერია ანდრეევნა!
 გასათხოვარ ჭიდო ალარ იქითხავთ?
 ყველა ზრდილობით აღსავსე არი!
 იმათი უდიდებულესობა
 აქ ბრძანდებოდა მეფე პრუსიის. ²⁷
 გაოცდა ჩეენის ყმაშვალ ქალების
 სახით კი არა — კეთილ ზნეობით:
 მართალიცა — მოსკოვილ ქალებს
 ვინ შეედრება აღზრდით და ქცევით!
 იციან კარგად მორთვა-მოკაზმუა,
 ჩაცმა-დახურვა დიბა-ხავერდით.
 ერთ სიტყვას საღად არ გამოსთქვამენ,
 ლაპარაკობენ პრანჭვით და გრეხვით.
 ურანგულ სიმღერებს კარგად მღერიან,
 გაბედულადა და თან ხმამაღლად.
 სამხედრო კაცებს უფრო ეტრფიან,
 ეს იმიტომ, რომ სამშობლო უყვართ...

ვადასწრო გეტჩვით: ძნელად იპოვით
სარაბრო ქალაქს მოსკოვისთანა!

სკალოზუბი.

მე-ეი მგონია, ცეცხლის გაჩენამ
ხელი შეუწყო მის გამშეენებას. 28

ფამუსოვი.

ნუღარ მიბრძანებთ! ცოტა გაცემდა
შერე გზები და ქვაფენილები?
სუყველა სახლი სხვაგვარად არის
ახალ გემოზე ნაშენ-ნაგები.

ჩაცე.

სახლები თუმცა თქვენ ახალი გაქვთ,
მაგრამ მსჯელობა ისევი ძველი!
და გიხარიდეთ: მას ვერ აღმოფხვრის
ვერც ღრო, ვერც მოდა, ვერც თითონ ცეცხლი!

ფამუსოვი (ჩაცეის).

ეი! შენ ძაფი მაინც განასკვე,
რომ მოგაგონდეს, რაც მე გითხარი.
ხომ გთხოვე: ჩუმად იყავი-მეთქი;
და რომ დაჩუმდე, დიდი რამ არი? (სკალოზუბს)
ნება მიბოძეთ! ეს შვილი არის
განსკვენებულის; ჩემის მეგობრის:
ანდრე ილის ჩაცე რომ წყო;
სამსახურში-კი არსად არ არის;
ესე ივი, ვთქვათ. სამსახურიდან
დიდ საჩერებლობას არას მოელის.
თე მოინდომებს, ყველი აჯობებს...
მებრალის, სწორედ დიდად მებრალვის.
მერე რა თავის პატრონია და...
მშვენიერად სწერს, მშვენივრად სთარგმნის.
როგორ იწება არ შეიბრალო,
როცა პატრონი ასეთის ჭკვის...

ჩაცე.

თე შეიძლება, სხვა შეიბრალეთ,
მე თქვენგან ქებაც ძალიანა მწყინს.

ფამუსოფი.

განა მე მარტო --- უველა გამტყუნება.

ჩაცეკი.

მერე ვინ არის ჩემი მსაჯული?

სიბერის გამო იმათვი ჭიშა

ვერ ურიგდება ახლანდელს დრო-ების.

უველაფრით ჰემობენ თავისუფლებას

და ვერ იცხობენ მისდამი მტრობას.

სიბრძნეს ეძებენ იმდროს გაზეთში,

როცა ყირიმი რუსთა დაიპყრეს; ²⁹

მუდამ გვიტუქსავენ, მუდამ გვიცხავენ,

გაიძახიან ერთს-და-იმავეს.

თავის-თავი კი არ ჰყვირდებიან, —

უარესობა მოსდევეს სიძეელეს ³⁰

სად არს, გვაჩვენეთ, ქვეყნის მამანი,

რომ მათ მიგბაძოთ, ვისწავლოთ მათგან?

ნუთუ ისინი არიან, ვინცა

სხვისის ნაძარცვით ვამდიდრებულან!

ნათესავთა და მეგობართ კალთას

მოვევარებიან, თავი უსსნიათ

და მათისავე უხვ მასპინძლობით

მართლმსაჯულებაც აუცდენიათ,

სად საქეოფლ, დროს სატარებლად

ქვეყნის მსაჯული შეიყრებიან,

სად უცხოელნიც ³¹ გარდასულ დროის

საზიქლარ ნაშთთა ვერ აღმოფხვრიან...

ან კი ლხინმა და საღილ-ვახშამმა

მოსკოვში ვის არ აუკრია პირი?

იქნებ ის არი, ³² ვისთანაც ერთხელ

ჯერ კადევ ბალდი თქვენ წამიყვანეთ

და მოწიწებით თაყეანისცემა

და თავის დაკვრა მისი მასწავლეთ?

ის საძაგლობის გამვრცელებელი,

მსახურთა გროვა რომ ეხვია გარს

და თავის ერთგულ მონათა ქრება

მთლად ანაცემალა სამ წუპაკ მწევარს? ³³

ეგებ ის არის, ვინც თავის ყმები

დააწიოკა, გაატიალა,

დედ-მამის ჭერს და მშობლების კალთას
 ღვიძლია შვილები გამოაცალა!
 ვალიალებული სხვისის ნაღვაწით
 შეეთვისტომა სიბილწის მორევს
 და მოსკოველთა განსაცეიფრებლად
 ათამაშებდა მათ სილამაზეს! ²⁴
 მაგრამ მოვალეო ეს რად უნდოდათ?
 ვალის ვადახდა ალარ აცალეს
 და გლეხთა შვილნი სულ სათითაოდ
 პირუტყვებიყოთ ჩამოირიგეს.
 აი, ისინი, ის თეთრიმოსანნი,
 რომელთაც უნდა პატივსა ვცემდეთ
 და ამ საბუდარს სულმდაბლობისას
 ჩეენ, უყაცონი, კაცებად ვთვლიდეთ!
 იმათ ხელთ არის ჩეენი ავ-კარგი:
 დაწუნებაც და მოწონებაც!..
 ახლა რომ ერთმა ჩეენვანმა ვინმემ
 ხელი მოჰკიდოს მეცნიერებას,
 სწავლა არჩიოს ჩინს და ორდენებს
 და ხელოვნება თანამდებობას —
 მაშინვე ყველა ერთხმად იყვარებს:
 ავაზეები დაგვესიაო!
 და მათვან საშიშ კაცად ცნობილმა
 კიდით-კიდემდე უნდა იარო!
 მუნდირი მხოლოდ! მარტო მუნდირი!
 რომ შეპხაროდნენ იმ კოხტად ნაკერს.
 ის ერთ დროს, მართლაც, ჰუარივდა იმათს
 სულმდაბლობას და ჭერით სიგლახეს.
 მაგრამ წარვიდა, იმათს ქვალს გაჰყვა —
 გზა მშედობისა დაგვილოუნია.
 ქმრიანი, უქმრო, ყველა ერთრიგად
 მუნდირს შესტრფოდა და შეპხაროდა.
 მეც თეთონ განა დიდი ხანია,
 რაც ეს მუნდირი მეტად მომწონდა?
 მაგრამ უარყყავ! და ამის შემდევ
 როდი ჩავიდენ ამგვარ ბავშვობას...
 მაგრამ მაშინ დი ვინ შეიძლებდა
 არ აპყოლოდა სხეების ფეხის ხმას!
 როცა სასახლეს გვარდიელები

ზანდასან მოსკოვს ესტუმრებოდნენ,
„ურას“ ჰყეიროდნენ ჩევნი ქალები
და თავსაფარებს ცაში ისცროდნენ.
ფამილია (თავისთვის).

ეს მე კარგ საქმეს არას შემამთხვევს! (ხმამალლა)
სერგე სერგეიჩ, მე გიახლებით
და იქ მოგიცდით ჩემს კაბინეტში! (გადის).

გამოსცლა მემკვეთი

სკალოზუბი.

ძალიან მომწონს, რომ მაგრერიგად
მოიხსენიეთ მოსკოველები. ვა
მათი სიგანი გატაცებისა:
გვარდიელობა, გვარდიელები.
პირველ არმიას აღარ იქითხავთ?
თავით ბოლომდე კომპიაობენ,
დაგისახელებთ ზოგ-ზოგ ოფიციებს,
რომ ფრანგულადაც ლაპარაკობენ.

გამოსცლა მემკვეთი

იგინოვე, სოფიო და ლიზა.

სოფიო (ფანჯრისკენ გარბის).

ომ! გადმოვარდა! მოკედა! (გული წაუვა)

ჩაცი.

ვინ! ვინა?

სკალოზუბი.

ვის რა შეემოხვა?

ჩაცი.

ეს შიშით კვდება!

სკალოზუბი.

ვინ გადმოვარდა?

ჩაცი.

ზომ არ დაშავდა!

სკალოზუბი.

ჩვენი ბებერი ხომ არ წაიქცა!
ლიზა (თავის ქალბატონთან ფუსტუსებს).

კაცს რაც ბედი აქვს, არ აშორდება!
მოლჩალინს სურდა ცხენზე შეჯდომა
და უზანგოში რომ ფეხი შესდო, —
ცხენი უკანა ფეხებზე დადგა...
ჩამოგარდა და კეფა ძირს დაპკრა.

სკალოზუბი.

თავი ძალიან მოუწევია!
რა გაეგება მას! ცხენოსნობის!
ვნახავ, რა დაპკრა, ან რა სტკენია! (გადის).

გამოსტლა მერჩე

იგინივე, სკალოზუბს გარდა.

ჩაცყა.

რითო ვუშველოთ! მითხარი, ჩქარა!

ლიზა.

მოიტათ წყალი, იმ ოთახშია!
(ჩაცყა გაიქცია და შემოიტანს წყალს. შერე ხმადაბლა
ლაპარაკობენ, სანამ სოფიო გონის არ მოვი)

ლიზა.

ჩაასხით ჭიქაში!

ჩაცყა.

ჩასხმული არის!..

ზონრებია შეხსენ უფრო ნებაზე.
აბა, საჩქაროდ აპკურე წყალი
და საფეთქლები ძმრით დაუზილე.
მგონი, მოუხდა, მშეიღიადა სუნთქავს,
შეხედე... რითო მოვუნიავო?

ლიზა.

ო, მიირთვით მაგის მარათ.

ჩაცყა.

გადაიხედე! ხელავ მოლჩალინს?

დიღი ხანია წამოდგა ფეხზე.
უბრალო რამე აშფოთებს ასე.

ლიზა.

დიახ. ქალბატონს სუსტი გული აქვს. --
შეუწუხდება მაშინვე გული,
თუ ვინმე ნახა ძირს დაცემული.

ჩაცემ.

აპეურე შყალი, ე მაგრე, კიდევ!

სოფიო (ლრმა ამოოხევრით).

ვინა ხართ აქა? ძილში ეარ თითქო. (ჩქარა და ხმამაღლა)
სად არის იგი? რა დაემართა?

ჩაცემ.

იმას კისერიც მოუტეხია!
ცოტა დააკლდა, რომ თქვენც არ მოგვლათ,

სოფიო.

არ შემიძლია თქვენს მკვანე სიტყვებს
ყური დავუგდო და თქვენ გიმზიროთ.

ჩაცემ.

ვინდათ მის ნაკვლად მე ვიტანჯოდე?

სოფიო.

მინდა გაიქცეთ, მას მიეშველოთ...

ჩაცემ.

მერე თქვენ უნდა მარტო დაგაგდოთ?

სოფიო.

მე რად მინდიხარ? მაგრამ ჰო, მართლა! -
სხვის მწუხარება თქვენთვის ხომ მხოლოდ
გართობა არის შესაქცევარი!

სულ ერთი არის, არად ჩაგდებთ,
თვით ღვიძლი მამაც რომ ნახოთ მკვდარი.
ჩქარა გაფაქცეთ, მას მიეშველოთ.

ლიზა (გაიყვანს განზე).

ვონს მოეგვეოთ, საით მიდიხართ!

ის ცოცხალია, ქარგადაც არის: ,
აი, ფანჯრიდან რათ არ შეხედავთ!
(სოფიო უკურებს ფანჯრიდან)



ჩაცემ.

შფოთვა, გულწასვლა, მოუთმენლობა!
და შიშით რისხეა, სულ სხვანაირად!
ამაებს მხოლოდ მაშინ ჩავიდენთ,
როცა გულითად მეგობარს ვკარგავო!..

სოფიო.

აქეთ მოდიან! ხელს ვეღარა სწევს!

ჩაცემ.

ნერავი მასთან მომკდარეიყავ მეც.

ლიზა.

ნუთუ ხათრისთვის გსურდათ სიკვდილი?

სოფიო.

არა, ეგ ნატერა თქვენთანვე დარჩეს.

გამოსხივა მეცხრე
ივინივე, სკალოზუბი და მოლჩალინი
ხელჩამოკიდებული.

სკალოზუბი.

უცნებლად აღგა! ცოტად ხელი აქვს
დაშავებული. ტყულად შეშინდით.

მოლჩალინი.

მე თქვენ დაგაფრთხეთ! გთხოვთ მაპატიოთ!

სკალოზუბი.

რა მოგივიდათ, ჩეენ არ ვიცოდით.
უცბად იყვირეს — ჩამოვარდით!
სუყველა შევკრთით! თქვენ ძირს დაეცით!
და რა ალმოჩნდა? სულ არაფრისგან
შეგვშინებია! ტყულად შევშეოთდით.

სოფიო (არ უყურებს მოლჩალინს).

დღიახ, დავრწმუნდი, ტყულად შევშეოთდით,
მაგრამ მე ჯერაც საოცარადა ვთრთი.

ჩაცია (თავისოფის).

მოლჩალინს ერთი სიტყვაც არ უთხრა!

სოფიო.

აი, მე ახლა ჩემზედაც ვიტყვი,
მშიშარა არ ვარ! ბევრჯერ მოხდება,
რომ ჩემი ეტლი გადაბრუნდება,
ასწევენ, მე კი ისევ ჩავჯდები
და გავაქანებ, არ მეფიქრება.
მაგრამ სხვის მცირე მწუხარებასაც
ვერ გადავიტან! მტრნვაც და მაკრთოსს,
და სულ ერთია, როდი დაექცებ,
ვინდა ნაცნობი, ვინდ უცხო იყოს...

ჩაცია (თავისოფის).

მოტევებასა თხოულობს მისგან,
რომ ეროვნელ ვიღაც შეპბრალებია!

სკალოზუბი.


აი, გიამბობთ ერთ ახალ ამბავს!
ვიღაც ცლასოვის ქვერივი ქნეინა
არის თურმე აქ და, როგორც მითხრეს,
ვესანიშნავი ცხენოსანია.
მაგრამ ამ ბოლოს, თურმე ცხენიდან
გადმოვარდნილა და დაჩეჩქვილა.
მხლებელსაც ვეღარ დაუჭერია,
ალბათ, ის მაშინ ბუზებს თუ სთვლიდა.
როგორც მიამბეს, უძინოდაც
მოკლებულია ის სილამაზეს,
და ახლა, გვერდიც რომ ამოიგდო,
ყავარჯინად თურმე საქმროს დაექცებს.

სოფიო.

აი, ალექსანდრ ანდრეიჩ, თქვენ ხომ
სხვის უბედობას გაინარჩუნა.

5. გრიბოედოვი, „ვათ შეუისაგან“.

მოდით, და ამ ერთ შემთხვევაშიაც
მთლალ სულმაღლობა გამოიჩინეთ!..



ჩაცემა.

დიან, მე ჩემი გულაცეთილობა
აი, ამ წუთშიაც-კი დაგიმტკიცეთ!
თუმცა არ ვიცი, რისთვის და ვისთვის --
მე მოგაბრუნეთ და აღგადგინეთ (ააღებს ქუდს
და მიღის).

გამოსვლა მეათე

იგინივე, გარდა ჩაცემისა.

სოფიო.

თქვენ ხომ შემოხვალთ სალაშის ჩვენთან?

სკალოზუბი.

რა დროს?

სოფიო.

რაც აღრე — უკეთესია.
ჩვენ შინაურულ მეცობრებს ველით,
მოელენ საცეკვრად, სამხიარულოდ;
მგლოვიარედ ვართ და ამიტომაც
ბალს ვერ გავმართავთ, ისე ვიცემვოთ.
გაბსოდეთ-კი, არ დაიგვიანოთ.

სკალოზუბი.

უთეოდ მოეალ, ახლა მამასთან
უნდა შევიდე გამოსათხოერად.

სოფიო.

მშეიღობით!

სკალოზუბი (მოლჩალინს ხელს ჩამოართმევი).
თქვენი მორჩილი მონა! (ვადის).

გამოსვლა მითირთები

სოფიო, მოლჩალინი და ლიზა.

სოფიო.

მოლჩალინ! ჭუა როგორ-ლა შემჩხა?
ხომ იცით, ჩემთვის რა ძეირფასი ხართ!
თქვენ-კი თავს სულაც არ უფრთხილდებით!
მითხარით, ხელი ძალიან გტკივათ?
წვეთი არ მოვცეთ? ან ახლა თქვენთვის
საჭირო არის ხომ მოსვენება?
ნუ მიაყრუებთ, ექიმს უჩვენეთ.

მოლჩალინი.

შევიხვიე და ალარა მტკივა.

ლიზა.

ნაძლევს მოვდივარ, ტყუილს იგონებს!
რომ არ შევენოდეს, ხელს არ შეიკრავს
და ეს კი ტყვილი არ არის, რომ თქვენ
ვერ აშორდებით მთელი ქვეყნის ხმას.
რაღა თქმა უნდა, ჩაცი დაგცინებთ
და სკოლოზუბიც გუდას თავს მოხსნის,
ყველას უამბოს თქვენს გულისწასევლას,
სიტყვის მასალად ერთ ასად გავჰდის.
ისიც სხევბასეით ხუმარა არის,
ან-კი ამ დროში ვინ არა ხუმრობს...

სოფიო.

მერე მე იმათ ვითომ რად ვაგდებ!
თუ მინდა მიყვარს, თუ მინდა — ვიტყვი.
მოლჩალინ! განა მე არ ვეცადე
და ძალად თავი არ შევიკავე?
რომ შემოხველით, არა ვითხარით,
ერთი სიტყვის თქმაც ვერ გაგიბედეთ,
სული მიწუხდა, მაგრამ იმათთან
ვერა ვკითხეთ-რა, ვერც შემოგხედეთ.

მოლჩალინი.

არა, ძეირფასო სოფია პავლოვნა,
თქვენ მეტის-მეტად გულახდილი ხართ!





სოფიო.

სიდან გისწიველო გულში დაფარვა!
მე-კი მინდოდა, რომ თქვენ საშველად
თვით ფანჯრიდანაც გადმოვჭრილიყავ!
რას დავდევ მე სხევებს! ეის რა საქმე აქვს?
ან რად ჩავაგდებ ვინდ მთელ სამყაროს!
სასაცილოა, — დამტინოს ხალხმა,
საწყენი არის, — და ერთხმად დამგმოს!

მოლჩალინი.

კი არ გვევნოს და...

სოფიო.

ნუთუ დუელში
გაგიწვევთ ვინმე? რა ამბავია?

მოლჩალინი.

განა არ იცით, რომ აეგ ენა
ტყვიაზე უფრო საშიშარია!

ლიზა.

ისინი მამათქვენთან არიან
და რა კარგს იზამთ, რომ შეცქრიალდეთ!
ვითომც აქ არაფერი მომხდარა!
აუშფოთებლად, სახემცინარედ...
როცა გვეტყვიან, რაც ჩვენს გულს უნდა,
სიამონებით ჩვენც დავიჯვერებთ!
ჩაცყიც იქ არის, მიღით იმასთან
და ყმაშვილობის დრო მოაგონეთ.
ისე ეჩვენეთ, ვითომც გიყვარდეთ!
გადაუკარით ალერსზე სიტყვა,
პირმომლიმარედ ელაპარაკეთ
და შეყვარებულს მეტიც არ უნდა:
ყველაფერს მალე დაიჯვერებენ...

მოლჩალინი.

მე-კი ვერ ვჭედავ, რომ მოგცეთ რჩევა! (კონის სელჩე)

სოფიი (ურემლმორეული).

თქვენც გინდათ! წავალ, მაგრამ რაღა ვქნა,
თუ ეშმაკობა ვერ მოვახერხე!

ურემლმორეული ველერსო სხვა?..
ოჲ, ღმერთო, ჩაცეი რათ მოიყვანე!.. (გადის).

გამოსტობა მეთორმმტვ

მოლჩალინი და ლიზა.

მოლჩალინი.

ტურფა არსებავ, სიცოცხლით საქსევ!

ლიზა.

გთხოვთ დამეთხოვოთ, თქვენ უჩემოდაც
ორნი ბრძანდებით...

მოლჩალინი.

რა ლამაზი ხარ
და რომ იცოდე... როგორ მიყვარხარ!

ლიზა.

ქალბატონი?

მოლჩალინი. მოვალეობისთვის,
და შენ კი.... (სურს მოეხვიოს)

ლიზა.

მისთვის, რომ არ მოგწყინდეს?
ხელი გასწიეთ!

მოლჩალინი.

სამი რამა მაქვს,

ახლავ ივიწერ მათ სიმშენივრეს:
საბირფარეშო მოწყობილობა,
უცხო ხელობით გაკეთებული,
ვარეთ სარკე აქვს, შიგნითაც სარკე
ირგვლივ ვარაყი შემოვლებული.
ერთი ბალიში, მძიეოთ ნაკერი,
და სხვა ნივთები წმინდა სადაცის,
სანემსე ყუთი და მაკრატელი,

თანაც ხელსაწყო ფერ-უმარილის,
ტუჩის მალამო საუკეთესო,—
ყველა ესნი მზადა მაქვს შენოვის
და ამას გარდა ნელსაცხებელი
სხვადასხვაგვარი ყვავილ-ვარდების.

ლი ზა.

მე საჩუქრებით არ მოვტყუდები.
მითხარით, ამას რატომ სჩადიხართ.
რომ ქალბატონთან კრძალვით უცევიო
და გოვოსთან-კი მეტად ცელქი ხართ?

მოლჩალინი.

დღეს ავადა ვარ, ხელს ვერ შევისსნი!
ჩემთან მოდი და ყველაფერს გირჩვი... (გადის).

გამოსცლა მეცამეტი

ლი ზა და სოფიო.

სოფიო.

ვიყავ მამასთან! იქ არეინ არის,
სადილს იქ ვერ ვჭამ, ავადა ვარ დღეს!
წალი, მოლჩალინს შეატყობინე
ჩემს სანახავად მალე მოვიდეს. (გადის).

გამოსცლა მეთოთხმეტი

ლი ზა (მარტო).

ლი ზა.

ომ, ნეტა რა ხალხს ვადავეყარე!
ეს იმას ეტრის, ის-კი მე მიწვევს!
მე-კი... მხოლოდ მე ვუტრთხი სიყვარულს.
მაგრამ ბუცეტის ბიჭი პეტრუშა
ნეტავი როგორ არ შევიყვარო!

(ცარილი).

მომენტება მესამდ
გამოსვლა პირველი
ჩაცემა, შემდეგ სოფია.

ჩაცემა.

დაეცუდი... ვიხმარ ყოველგვარ ღონეს,
რომ მას სიმართლე დავაცდენინო!
მოლჩალინს ეტრფის თუ სკალოზუბსა,
ვინ უფრო მოსწონს — ეს ვათქმევინო!
მოლჩალინი ხომ სულელი იყო,
ყოველად საბრალო, ბრიყეი არსება!..
ვანა ამ ბოლო ღროს დაჭკვიანდა?!.
ან ის, მეორე, რას ემსგავსება!..
უწინ, ბრტყელი რამ, ხმახრინწიანი, ვა
ციკვა-ალლუმით რომ იწონებს თავს!
მისთვის სიყვარულს იგივ ფასი აქვს,
რაც რომ ბავშვთათვის თვალზუქნობას,
მე კი... (სოფია შემოდის) თქვენ აქ ხართ? მონარეული
ვარ!

მეც ეს მინდოდა...

სოფია (თავისთვის).

ტყუილად პხარობთ!

ჩაცემა.

უიძებელია, მე არ მეძებდით!

სოფია.

თქვენ არ გეძებდით!

ჩაცემა.

მინდა რამ გეითხოთ:

თუმცი ღრო არ არის ამის კითხვისა,
მაგრამ ვინ გიყვართ?



ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ.

მთელი ქვეყანა!

ହୋଟେଲ୍.

ყველაზე უფრო მეტად ვინ მოგწონთ?

၁၃၀၃

ბევრი! ჩემივე ნათესავები!

二〇〇〇年

და ჩემზე უფრო სუკველა.

୬୦୪୩୦୩

১৩৪

Feb/3/09.

ან რაღა მინდა! მორჩა, გათავდა!
მე ლამის ყელზე თოკი მოვიბა,
ეს არად იყდებს და იღიმება!..

બ્રાહ્મગીત.

მართალი გითხრათ? თქვენ თუ სხვა კინძეს
მცირეოდენი რამ შეამჩინეთ —
აუზირდებით მასეილსიტყვებით
და მის დაცინვას არ გაათავებთ.
მაგრამ თქვენ თითონ...

三〇

80 თითონ განა

სუსველაფერით ვარ სასაცილო?

બ્રહ્મગો.

მრისნანე თვალი, ამაყი კილო.

დიახ! ბევრი გაქვთ მწარე თვისება,
მაგრამ თავის თავს კინ დასრულს მსჯავრის!

Page 6

მე ვარ ისეთი? მაშ ვინ არ არის

გისამკარი და დასაფუნი?

ხს, ვინც ყველაფრით სულელს წააგავ? გინდ, მავალითად, ვთქვათ მოოჩაონია?

სოფია.

ეგ მაგალითი ჩემთვის ძველია!
თქვენ გინდათ სხვებზე ჯავრი იყაროთ,
და მეც ამიტომ აქედან წავალ,
რომ ხელი რომე არ შეგიშალოთ!

ჩაცეი (აჩერებს).


დაიკათ! (განზე) ვნახოთ, მთელ სიცოცხლეში
ამ ერთხელ მაინც ვიფარისევლებ. (ხამაღლა)
სჯობს სხვა რამე ვთქვათ, დამნაშავე ვარ,
რომ მე მოლჩალინს ცუდად ვასენებ.
იქნება მართლაც სამს წელიწადში
სულ სხვანაირად გამოიცვალა!
დედამიწაზე ყველა იცვლება:
ჰქუა, ზნეობა და თვით ცის ძალა!
არიან კაცნი, პატივცემულნი, ,
რომ ერთ დროს იმათ სულელად სოელადნენ!
ზოგს ცუდ მეომრად, ზოგს — ცუდ პოეტად,
ზოგს... მეშინიან დავისახელოთ...
მაგრამ ისინი ამ ბოლო ხანში
ჰკუით ცნობილნი ვახდნენ საქვეყნოდ.
ვთქვათ, ზოლისალინი ჰქევიანი არის,
ნიჭით აღვისლი და ვონიერი,
მაგრამ ულვივის ის ნაპერწეალი
და იმდენი აქეს გრძნობა ძლიერი,
რომ მას თქვენს გარდა მთელი ქვეყანა
და თვით სიცოცხლეც არად უნდოდეს
და უთქვენოდ მყოფს მზისა სინათლეც
წყვდიად სამარედ ეჩცენებოდეს;
რომ თქვენი ტრიობა მის გულისძვერას
აჩქარებდეს, აათროთლებდეს
და გატაცებულს ამ წმინდა გრძნობით
თქვენი აჩრდილი თვალის წინ უდგეს?
მე ვგრძნობ იმაებს!. თქმით-კი ვერ ვმიბობ,
მაგრამ რაც გულში ცეცხლი მიბრუნავს, ---
ის ღმერთმა მტერსაც ნუ აცდევინოს...
მოლჩალინი-კი თავს ძირს ჩაპლუნავს
და გაჩიტდება! რაღა თქმა უნდა,
ჩუმი იქნება, თუ არას იტყვის!



ჩუმია, მაგრამ რა საიდუმლოს
 ატარებს გულით — ეს ღმერთმა უწყის!..
 ვინ იცის, რაროგ სიკეთით სრულად
 თქვენ მოლჩალინი წარმოიდგინო!
 და რაც მის თავში არა ყოფილა,
 იმგვარი რამე მას მიაწერეთ!
 ან, შეიძლება, იმას ალერსში
 თქვენი ლირსებაც გაუზიარეთ?
 ვთქვათ, ის ყოველ წუთს იმატებს ჭკუას,
 თქვენზე ას წილად უკეთესია,
 უმანკო არის ყოვლის ლირსებით!
 მაგრამ — გამოტყდით — თქვენი ლირსია?
 აი, ეს ერთი კითხვა, ჩემის მხრით
 და, რომ გადვურჩე ამ ჩემს დანაკარგს, —
 ნუ დამიტარავ, მართალი მითხარ,
 გათ თანაშეზრდილს, ვით ძმას, მეგობარს.
 გთხოვ, დამარწმუნე! მერე მეც ჩემს თავს
 მოცუვლი რითმე, არ გავგიუდები,
 გულში ჩაიგრძობ ამ ანთებულს ცეცხლს,
 წავიაღ, შორს საღმე გადვიკარგები...
 შევძლებ როგორმე გადაეიციწყო,
 აღარ ვიფიქრო ბრმა სიყვარულზე...

სოფიო (თავისთვის).

საკეირველია, რომ მე სრულიად
 უნებლიერთად ეს გაეაგიშე!.. (ხმამაღლა)
 რათ დაგიმაღლოთ! წელან მოლჩალინს
 კინაღამ ხელი მთლად გაუფუქდა,
 მე-კი საჩქაროდ თანაცუგრძენი
 და მიშველება მისი მინდოდა!
 თქვენ-კი ესენი რომ დაინახეთ,
 ასუ-კი ინებეთ ცოტა გეფუქრათ,
 რომ შეიძლება მე ყველასათვის
 კარგი მინდოდეს, განურჩეველად.
 იქნებ თქვენს ექვში მართალიც არის,
 მე გულმხურევალედ ვიფარავ იმას,
 თქვენ-კი რატომ თავს არ შეიკავებთ
 და არ ალაგმავთ მაგ მახვილ ენას?
 ყველას სიძულვილს აშეირად იჩენთ,



თეთით წყნარსა და მშვიდს არაფრით ვხოვავთ!
მისი კ სახელი რომ წასცდეს ვისმე, —
მწარე დაცინებს დააყრით უხვად.
სულ ხუმრობთ! ხუმრობთ! მთელი სიცოცხლე
როგორ-ლა უძლებთ, რომ არ მოგწყინდათ?!

ჩაცემ.

ოჰ, ღმერთო! ნუთუ მე მათვანი ვარ,
ვისთვის ცხოვრების უმთავრეს საგანს
შეადგენს მხოლოდ სხვის დაცინება?
როცა დასაცინს ეხედავ — ვიცინი,
ხშირად კი მათთან მოწყენილი ვარ!

ხოჯიო.

ეს ყველაფერი სხვებს შეეხება,
მოლჩალინთან-კი არ მოგწყინდებათ,
რომ უფრო ახლო იცნობდეთ იმას!..

ჩაცემ.

თქვენ მაგრე ახლო რად გაგიცენიათ?

ხოჯიო.

მე არა ვცდილვარ! ღმერთმა შეგვარა!
ხედავთ, ამ სახლში სუჟველას უჟვარს!
სამი წელია, რაც მამაჩემთან
მსახურობს იგი და ბევრსაც იტანს!.
ხშირად უბრალოდ უწყრება მამა,
ის კი ხმას არ სცემს, სულ ჩუმად არის,
კეთილის გულით შეუნდობს ხოლმე
და ამნაირად იარალს აჲყრის.
და რომ უნდოდეს, მისაც, სხვებივ-თ,
ხომ შეუძლიან დროს გატარება!
მაგრამ არა! ის ბებრის გვერდით ჭის
და უამისოდ კარს არ გასცდება.
ჩვენ აქ ვკისკისებთ! ის-კი მთელი დღე,
სურს თუ არა სურს, ბანქოს თამაშობს!
იმასთან არის...

ჩაცემ.

თავაშობს მთელ დღეს

და როცა ლანძლვენ არაფერს ამბობს!.. (განზე)
პატივს არა სცემს!

სოფია.

მართალი არის,

იმას არა აქვს ისეთი ჭიუა,
რაც ზოგს ჰეთია გენიოსობა
და ზოგისათვის მხოლოდ უამია!
ჭიუა, რომელიც მკეირცხლია, ჩქარი
და საჩქაროდევ ბეზრდება ყველას!..
ქვეყანას ლანძლავს, რომ ხალხმაც მასზე
კარგი თუ არა,— ავი მაინც სოქვას...
ამგვარი ჭიუის პატრიონი კაცი
განა სახლობას ხეირს, დააყრის?

ჩაცემ.

რაც ახლა ბრძანეთ, იმასი აზრი
დარიგება თუ დაცინვა არის? (განზე)
სჩანს, რომ ეს იშას^{**} ჩირად არ აგდებს.

სოფია.

სხვაც მრავალი აქვს კარგი თვისება:
თავმდაბალია, წყნარი და მშვიდი,
ჭმუნვის აჩრდილი სულ არ ემჩნევა.
სულიც წმინდა აქვს ცოდვებისაგან
და არ კათრულობს სხეების დაცინვას!
იმ იმიტომ მიყვარს მე იგი!..

ჩაცემ (განზე).

ცელქობს, ეტყობა, სულაც არ უყვარს! (სმამაღლა)
მეც ხელს მოვიწყობთ, რომ მოლჩალანი
უფრო აღვილად დაასურათოთ!
მაგრამ სკალოზუბ? იმ მშეენება!
თავგამოდებით იცავს მხედრობას.
ტანის სისწორით, ხმითა და სახით
გმირია... .

სოფია.

არა ჩემი რომანის.

ჩაცენ.

არა? ვინ შესძლებს თქვენს გამოცნობას!

გამოსცლა მოღრე

იგინივე და ლიზა.

ლიზა (ჩურჩულით).

ჩქარა წამოდით, ბატონი, იგი ^{ვა}
ამ წუთში თქვენთან აპირებს მოსვლას!

სოფია.

უკაცრავად ვარ! მიცდივარ...

ჩაცენ.

საით?

სოფია.

პარიკმახერთან მიმეჩქარება.

ჩაცენ.

ჯანდაბის იყოს!

სოფია.

გაუცივდება
თმის დასახვევი.

ჩაცენ.

და გაცივდეს.

სოფია.

დღეს სტუმრებს ველით, არ შეიძლება.

ჩაცენ.

ვზა მშეიღობისა! ეს გამოცანა
აუხსნელადევ ჩემთანა რჩება!
მხოლოდ ამას გთხოვთ, რომ თქვენს ოთახში
ერთხელ შემოსელის მომეცით ნება.
ვნახავ მის კედლებს, მის ჰაერს ვყნოსავ
და ეს ყოველი შე მიამება.
გამათბობს, კვალად გამომაცოცხლებს,
გულს დამიმშეიღებს და სულს არგია



კელავ მოვონება იმ ძვირფას დროის,
რაც სამუდამოდ დამიკარგია!
კი არ დავჯდები! ორ წუთს შემოვალ...
შერე ვეწვევი ინგლისურს მე კლუბს
და ყურს დავუგდებ, როგორ უქებენ
მოლაპილინს ჭკას, გრძნობას — სკალაზუბს.⁴⁰
(სოფიო მხრებს აიწევს და თავის ოთახში მიღის, ლი-
ზაც თან მიჰყება)

გამოსცლა მესამე
ჩაცეი, მერე მოლჩალინი.

ჩაცეი.

ოოქ, სოფიო! ნუთქ მას მართლა
ამორჩეული მოლჩალინი ჰყაეს!
რა უშავს! ჰყუა იყლია, მაგრამ
რა ჰყუა უნდა შვილის კეობას!
თავმდაბალია, მორიდებული,
ამასთანავე ლამაზიც არის!.. (შემოდის მოლჩალინი)
ავერ თეოთონაც!.. ცერებზე დადის...
მცევრმეტყველებით კი არ მოაწყენს;
ნერა სოფიოს რა ვადო უყო,
რომ იმს გულში დაისაღვურა!.. (მიუბრუნდება მოლ-
ჩალინს)
მე და თქვენ, ალექსეი სტეფანიჩ,
ერთმანეთისთვის ვერ არა გვითქვამს.
როგორა ცხოვრობთ? ხომ უდარდელად
და უზრუნველად ატარებთ დრო-ეაძს?

მოლჩალინი.

უწინდებურად!

ჩაცეი.

მერე და უწინ
რაგვის ცხოვრებით ატარებდით დროს?

მოლჩალინი.

სულ ერთნაირად! — რაც გუშინ, ის დღეს!..

ჩაცეთ.

ბანქოდან კალამს, კალმიდან ბანქოს?
დანიშნულ დროზე წასვლა და მოსყლა!

მოლჩალინი.

რაც-კი შეპფერის ამ ჩემ ძალ-ღონეს,
თავს არ ვიზოგავ. რაც არქივში კარ,
მას შემდეგ სამჯერ დამაჯილდოვეს.

ჩაცეთ.

თქვენც გაგიტაცათ. პატივ-დიდებავ?

მოლჩალინი.

თითო რამ ნიჭი ყველას დაჰყვება...

ჩაცეთ.

თქვენ რის ნიჭი გაქათ?

მოლჩალინი,

ორგვარი ნიჭი:
ზომიერება, წესიერება,

ჩაცეთ.

საუცხოვოა, მაგ თრის ნეტით
მთელს ჩვენს ლირსებას გამოისყიდით...

მოლჩალინი.

თქვენ რაღას შვრებით? ჩინო არ მოგვესო,
ვერც სამსახურში დაწინაურდით?

ჩაცეთ.

ჩინს ხომ კაცები ურიგებენ სხვებს,
და შეიძლება, რომ კაცი შეცდეს.

მოლჩალინი.

როგორ ვკვირცობდით!

ჩაცეთ.

რა გაჭვირებდათ?

მოლჩალინი.

თქვენთვისა ვწუნდათ!

ჩაცყი.

ტყველად გარევილხარ!

მოლჩალინი.

პეტერბურგიდან რომ ჩამოვიდა

აქ ტატიანა იურიევნა,

იმან გვიამბო რაღაც იმბები...

თვით მინისტრებთან თქვენი გაცწობა...

მერე-კი ჩხერი...

ჩაცყი.

მას რა აწუხებს?

მოლჩალინი.

ვის? ტატიანა რურიევნას?

ჩაცყი.

მე არც-კი ვიცნობ!

მოლჩალინი.

როგორ, არ იცნობთ

თქვენ ტატიანა იურიევნას?!

ჩაცყი.

ჩემს დღეში არსად არ შემხვედრია!

გამოგონია, რომ მექორეა...

მოლჩალინი.

რას ამბობთ! ნუთუ იმაზე გითხრეს!

ის ყველგან დიდად მიღებულია.

იმასთანავე ნათესავები

და ნაცნობები ყველა კარგი ჰყავს!

ყველა შათვანი ჩინოენიქია,

თანამდებობა საღმე უჭირავს.

ერთხელ რომ მაინც ესტუმრებოდეთ...

ჩაცყი.

რისთვის?

მოლჩალინი.

ისე... ჩერენ საღაც არ ველით,

ხშირად ვპოულობთ იქ მფარეველობას.

ჩაცეთ.

მე-კი დავდივარ ქალებთან, მაგრაძ
არა მაგისთვის!..

მოლჩალინი.

რა კეთილია

და ო თავშით ეჭყვა ყველას!
შობის კვირიდან მოყოლებული
დიდმარხვამდისინ სულ ბალებს მართავს.
სააგარაკოდ რომ მიღის ხოლმე,
იქ ხომ ყოველდღი წვეულება აქვს.
ეჭ, იქ რომ დარჩეთ ჩვენთან მოსკოვში,
და იმსახუროთ, რა კარგსა იზამთ!
იცხოვრებთ თქვენთვის მხიარულებით
და ჯილდოებასაც ბლომად ხელს აპქაბყო!

ჩაცეთ.

როცა საქმე მაქეს, ლხინშე არ ვფიქრობ
და სულელობის დროს-ეკი ვსულელობ!
სხვა ბევრი არის მოხერხებული,
ამ ორ ხელობას რომ ერთად ხმარობს:
შეომას და ქეიფს. მე-კი სულ სხვა ვარ
და არ ვეკუთვნი ამნაირთა გუნდს.

მოლჩალინი.

უკაცრიავად ვარ! მე, ჩემის ახრით.
აქ არას ვხედავ უწესოებას!
აი თუნდ თვითონ ფომა ფომიჩი...
იცნობთ თუ არა?

ჩაცეთ

შერე რა გნებავს?

მოლჩალინი.

განუოფილების უფროსად იმას
სამს მინისტერთან უმსახურია.
ანდა აქ არის...

ჩაცეთ.

კარგი რამ არის!
ის ხომ უტვინო და უგნურია?

6. გრიბოედოვი, „დაი ჰერისეგან“.

მოლჩალინი.

როგორ იქნება! სამაგალითოდ
სთელიან იმისი ნაწერის კილოს.
სულ ყველა იქებს იმისა კალამს...
არ წაგიკათხავთ მისი ნაწერი?

ჩაცე.

მე სისულელეს არა ვკითხულობ
და უფრო მეტად — სამაგალითოს.

მოლჩალინი.

მე-კი ხალისით გადამიკითხავს!
თუმც მოხშეველი არ ვარ...

ჩაცე.

ყველაფრიდან ჩანს!

მოლჩალინი.

და ვერ გავბედავ ჩემი აზრი ეთქვა.

ჩაცე.

მაგრე რათ ცდილობთ აზრის დაფარვას?

მოლჩალინი.

ჩემის ხნისამ ვერ უნდა გაბედოს,
რომ იქონიოს თვისი შსჯელობა.

ჩაცე.

ჩემო კეთილო, მე და თქვენ ახლა
ისე ყმაშვილი ხომ აღარა გართ,
რომ მხოლოდ სხვისი ახრი მივცახნდეს
უცილობელად, უმინდათა წმინდად!

მოლჩალინი.

ხომ საჭიროა სხვის ვემორჩილოთ.

ჩაცე.

რასთვის?

შოლჩალინი. მისთვის, რომ შცირე ჩინი გვაქვს.

ჩაცყი (თითქმის ხმამაღლა).

ასეთ გრძნობათა და სულის მქონე
უყვარს!.. დამცინა მე იმ ცბიერმა:

გამოსვლა მეორეზე

საღამო. ყველა კარი დაუებულია, გარდა სოფიოს სა-
ჭილი ოთხის კარისა. მოჩანს განათებული ოთახები. მო-
სამსახურების ირევიან. ერთი მათვანი, უფროსი, იძანის:

აბა, პე, ფილკა, ფომკა, ყოჩაღად!..

სტოლი, ჩოთქები, ცარცი, სანთლები.

(აკაკუნებს სოფიოს კარებზე).

ელისაბედო! აბა ქალბატონს

შეატყობინე, ჩქარა უთხარი,

რომ ნატალია დიმიტრიევნა

მოვიდა და მას თან ახლავს ქმარი.

კიბესთან კადევ დადგა კარეტა!

(მოსამსახურები მიღიან. ჩაცყი მარტო დარჩება).

გამოსვლა მესუთი

ნატალია დმიტრევნა და ჩაცყი.

ნატალია დმიტრევნა.

ხომ არა ცცდები? იმას ჰვავს სახით!

აავ, ალექსანდრ ანდრეები, თქვენა?

ჩაცყი.

თავით ფეხამდე ეჭვით მიუქერით!

ნუთუ სამი წლის განმაელობაში

ისეთნაირად გამოვიცვალე,

რომ ვეღარა მცნობთ?

ნატალია დმიტრევნა.

მე-კი მეგონა

შორის მოსკოვიდან იყავით სადმე!

როდის მოხველით?

ჩაცყი.

დღეს გიახელით!

ნატალია დმიტრევნა.

დიდის ხნით?

ჩაცია.

როგორც საქმე მოითხოვს.
რარიგად მიკვირს, რომ გხედავთ უფრო
გალაშაზებულს და დამშვენებულს.
სახე ვარდისფრად აყვავებული!
კისკისი... უფრო ახალგაზრდა ხართ!
მიმოსულა მქვირცხლი...

ნატალია დმიტრევნა.

გავთხოვდი კიდეც!

ჩაცია.

რაღას უცდიდით, აღრევე გეთქვათ!

ნატალია დმიტრევნა.

ჩემი მეუღლე საუცხოვოა,
ეხლავ შემოვა; გაგაცნობთ, გნებავთ?

ჩაცია.

გთხოვთ.

ნატალია დმიტრევნა.

დაუკვირდით. თუმცა წინდაწინ
ვიცი, რომ მეტად მოგეწონებათ.

ჩაცია.

მჯერია, რადგანაც თქვენი ქმარია!

ნატალია დმიტრევნა.

განა ამიტომ! თეით იქნა ლირსება;

ჩემი პლატონ მიხილიჩის

პერა-გონება არ დაფასდება.

მხედარი იყო, მაგრამ ახლა-კა

გამოსულია, არსად მსახურობს.

და ვინც წინათ იცნობდა ჩემს ქმარს,

სუჟექტი ამბობს, ყველა ამტკიცებს,

რომ მაგისთანა მხნე, ნიჭიერი,

სამსახურს არა დასთხოვებოდა,

უიპველია, იმას მოსკოვის
კომენდანტობა არ ასცდებოდა.

გამოსცლა მეექვე

რეინიცე და პლატონ მიხაილიშვილი.

ნატალია დმიტრევნა.

პა, ჩემი პლატონ მიხაილიშვილი!

ჩაცყო.

ომ! ჩვენ ერთმანეთს ხომ კარგად ვიცნობთ!
დიდი ხანია მეგობრები ვართ!
ეს რა ბედია, რაჩივად ვხარობ!

პლატონ მიხაილიშვილი.

გამარჯობა ძმავ, ჩაცყო!

ჩაცყო.

კარგია,
ძეირფისო პლატონ, ქების ღირსი ხარ.
ხომ კარგად ცხოვრობ?

პლატონ მიხაილიშვილი.

როგორც ხედავ, ძმავ!

გამოსკოველი, ცოლიანი ვარ.

ჩაცყო.

მოშორდი ბანაკს, იმის ქრიამულს,
ძმა-მეგობრები ვადაივიწყე?
მოსევნებით ხარ, ზარმაცობ?

პლატონ მიხაილიშვილი.

არა!

თავეასართობი კიდევ მოვქებნე:
ფლეიტა მაქეს და სულ „დუეტს“ ვუკრავ...

ჩაცყო.

რასაც უკრავდი ხუთის წლის წინათ?
ესეც კარგია, როდესაც ქმარი
ერთს გემოს მისდევს გადაუცდენლად.

პლატონ მიხაილიშვილი.

ეჭ, ძმავ, როდესაც ქმარი იქნება,

ბაშინ ჩემს „დუეტს“ შენც მოიგონებ.
რომ მოვწყინდება, სხვას რაღას იზამ,
სულ ერთ კოლოჩზე დასტვენ და დასტვინ.
ჩაცეთ.

რომ მომწყინდება? როგორ? შენ განა
უკვე გრძნობ კიდეც მოწყენილობას?

ნატალია დმიტრევნა.

დიახ, ჩემს პლატონ მიხაილიშა
ისეთი შრომა მოსწონს და უყვარს,
რაც აღარა აქვს: ჯართა ალლუმი,
მათი სწავლება, მათი დახედვა,
და რომ ესენი მოაკლდა, მიტომ
დილით ხანდახან მოეწყენება.

ჩაცეთ.

ჩემო კეთილო, უქმად იჯექი, —
ეინა გყავს ძალის დამტანებელი?
წადი, ესკადრონს მოგცემენ. შენა
ობერი ხარ თუ შტაბ-ოფიციერი? ¹¹

ნატალია დმიტრევნა.

ჩემი პლატონი კარგად ვერ არის
და მაგის წასკლა სად შეიძლება!

ჩაცეთ.

კარგად ვერ არის? დიდი ხანია?

ნატალია დმიტრევნა.

სულ ქარები აქვს და თავი სტკივა.

ჩაცეთ.

სოფლად იცხოვრე საღმე ზაფხულში!
ამ დროს სოფელი ხომ სამოთხეს ჰვავს...
ცხენით იარე წმინდა ჰიერზე
და ხელი მიჰყავ მეტს მოძრაობას.

ნატალია დმიტრევნა.

ჩემს პლატონს მხოლოდ ქალაქი უყვარს
და ეს მოსკოვი ძალიან მოსწონს...

ყრე სოფლად რისთვის უნდა წავიდეს
და თავის დღენი რათ ჩაიმწაროს?

ჩაცყო.

მოსკოვი უყვარს!.. შე უხეირო!
არ გახსოვს, წინათ როგორ ცხოვრობდი?

პლატონ მიხაილიჩი.

ეჭ, ძმაო, ახლა ის დრო არ არის!

ნატალია დმიტრევნა.

ჩემო ძვირდასო, ნეტა რას შერები!
აქ ისე ცივა და შენ-კი მაგრე
უილლეტვასხლი თამამად ზიხარ.

პლატონ მიხაილიჩი.

ძმაო, რაც ვიყავ, ის ალარა ვარ!

ნატალია დმიტრევნა.

შენ ვენაცვალე, გული შეიკარ.

პლატონ მიხაილიჩი (ცულგრილად).

ახლავე.

ნატალია დმიტრევნა.

ჩემარა მოშორდი ქარებს,
ორპირი ქარი ზურვში გიბერავს.

პლატონ მიხაილიჩი.

რაც ვიყავ, ძმაო, ის ალარა ვარ!

ნატალია დმიტრევნა.

შენ ვენაცვალე, გოხოვ, თუ ღმერთი გწამის!

პლატონ მიხაილიჩი (თვალებს ცისკენ მიაპყრობს).

პოი, დედავჯან!

ჩაცყო.

უფალმა უწყის

რარიგ შეცვლიხარ იმ მოქლე დროში!..

თითქო რაც იყავ, ის ალარა ხარ!

შარშან არ იყავ, რომ გნახე პოლკში?

ირიერაუებდა თუ არა, იმ წამს

ბედაურ ცხენსა შეახტებოდი
და შემოდგომის ქარსა და სუსაში
შაგარდენივით მიპქრი-მოპქროდი!

პლატონ მიხაილიშვილი (ამოიოხრებს).
ეს, ძმაო, მაშინ უკეთ ვცხოვრობდი!

გამოსავალი მეშვიდე

იგინივე, თავადი ტუგოუხოვსკი და მისი კნეინა
თავისი ექვსი ქალიშვილით.

ნატალია დმიტრევნა (წერილის ხმით).

კნიაზ პიოტრი ილიჩ! ღმერთო, კნეინაც!

კნიაზნა ზიზი! მიმი! ყელანი!

(პეტერიან ერთმანეთს, მერე დასხდებიან და თავით
უქხამდე ათვალიერებენ ერთმანეთს).

1 კნიაზნა.

რა მშენიერად შეკერილია!

2 კნიაზნა.

რა დაკეცილი აქვს ქაბის განი!

1. კნიაზნა.

ბლონდი უელია!

ნატალია დმიტრევნა.

არა!.. რომ ნახონ

ჩემი ატლასის გადასაცმელი!

3 კნიაზნა.

აი რა შარფი მიძლვნა კუზენმა!

4 კნიაზნა.

პო, ეს ბარეუის!

5 კნიაზნა.

უცხო რამ არის!

6 კნიაზნა.

ომ, რა კარგია, რა მშენიერი!

କଣ୍ଠେଣା.

ଶ୍ରୀ! ଯେ ବୀନ ଅରୀର, ଅଗ୍ର କୁତ୍କେଶିଳୀ?
ରନ୍ଧର ଶୈଥିଲେଖିତ, ତାକେ ଲାଗୁଇରା!

ନାତ୍ରାଲୀଙ୍କ ଲମ୍ବିତର୍କେବନା.

ଯେ? ହାତ୍ପରି ଗାନ୍ଧିଲାଘତ, ଅଳ୍ପାଲମ୍ବନ୍ତୁଲାଗି.

କଣ୍ଠେଣା.

ମିତିଶାର, ଗ୍ରେଟାପ୍ରେତ, ନାମ-ଶା-ଶ୍ରୀ-ରା-ତ?

ନାତ୍ରାଲୀଙ୍କ ଲମ୍ବିତର୍କେବନା.

ଫୋକ, ଉତ୍ସାଧାଶବ୍ଦୀ କ୍ଷେତ୍ରନ୍ଦିତିଶ୍ଵର
ମନ୍ଦିରଶାସ୍ତ୍ରକର୍ମଦା. ଅଳ୍ପାଦ ଲାଭର୍ତ୍ତନଦା.

କଣ୍ଠେଣା.

ଶ୍ରୀ-ପ୍ରାଣ ଅରୀର?

ନାତ୍ରାଲୀଙ୍କ ଲମ୍ବିତର୍କେବନା.

ଫୋକ, ଶ୍ରୀପାଣ.

କଣ୍ଠେଣା.

କଣ୍ଠାଥ, କଣ୍ଠାଥ! ଏହି ମନଦିନ! ହିଂଜାରା!

କଣ୍ଠାଥ (ମିଶ୍ରିତ ମନୀପରିନ୍ଦର୍ବଳେ ସାମର୍ଜନେତ୍ର ମିଲିବିଲା) .

ଓ, କିମି!

କଣ୍ଠାଥ, ମନୀପ, ସତକାପ୍ରେ, ଅଗ୍ର ମି ପ୍ରମାଣିତିଲବ,
ଶ୍ରେଷ୍ଠଶାଶ୍ଵତ ଲାମ୍ବେ ପଥେପି ହେଉଥିଲିଲା.

କଣ୍ଠାଥ.

ଓ, କିମି! (ମନୀପ, ହାତ୍ପରି ଅଳ୍ପାକୁ ପ୍ରମାଣିତିଲବିଲା)

କଣ୍ଠେଣା.

ଓ, ଯେ ଶ୍ରେଷ୍ଠବି! ମହା ପ୍ରମାଣିତିକାତ
ତ୍ରା ଦେଖିବ ଶ୍ରେଷ୍ଠ ଶ୍ରେଷ୍ଠବି ତାପ୍ରାଣ ଶ୍ରେଷ୍ଠ,
ଶାଶ୍ଵତ ରାତ ଦେଖିବି! ଯେ ଗାନ୍ଧିଜିରଦା,
ରନ୍ଧର ଶାନ୍ତିଲିତ ପ୍ରେସର କାରିଗ ମନୁଷ୍ୟବାବେ.
ଏ କାମ୍ରେର-ପ୍ରମାଣିତିରିବା? ୫୨

ନାତ୍ରାଲୀଙ୍କ ଲମ୍ବିତର୍କେବନା.

ଅରା!

କଣ୍ଠେଣା.

ମନୀପ-ରା-ରା ଅରୀର?



ნატალია დმიტრევნა.

ობ, სულაც არა!

კნეინა (რაც ძალი და ღონე აქვს მაღალის ხმით) კნეინა! კნეინა! დაბრუნდი ჩეარა!

გამოსვლა მისი

იგინივე, გრაფინია ხრიუ მინა, ბებრა და მისი
შვილი შვილი.

გრაფინია შვილი შვილი.

Grand' maman! ასე ადრე ვინ მოდის?

ჩეენ პირველი ვართ! (გადის განის ოთახში).

კნეინა.

რა პატივი გეცა!

პირველი ვართო — ჩეენ არად გვაგდებს!
ბოროტი... უქმროდ რომ ჩამობერდა!

გრაფინია შვილი შვილი (კამიბრუნდება და ჩაცების
დაუპირდაპირებს ლორნებს).

მოსიონ ჩაცები, თქვენ აქ ბრძანდებით?

როგორც იყავთ, ისევ ისეთი?

ჩაცები.

რა საჭიროა გამოვიცვალო!

გრაფინია შვილი შვილი.

ცოლი შეირთეთ?

ჩაცები.

ვის შევირთავდი!

გრაფინია შვილი შვილი.

უცხო მხარეში ვის შეირთავდით?

ობ, ამდენს ნახავთ ჩეენს ახალგაზრდებს,

რომ მოდისტები და მკერავები

ცოლად შეირთეს, გაგვიპატარდეს.

ჩაცები.

უბედურები! რარიგ უძლებენ

ამ მოდისტების მიმბაძველთ კიცხვას,

მოლოდ იმიტომ, რომ მათ გაპბედეს

და ამჯობინეს დედანი თარგმანს.

გამოსვლა მეცხრი

იგინივე და სხვა მრავალი სტუმრები. სხვათა შორის ზოგიერთი გორეციც კაცები შემოდიან. ირევიან. ოთახიდან მოვარდი დაიარებიან და სხვა. სოფიო ვამოდის თავის ითახიდან, ყველა მას ეჭიბება.

გრაფინია შვილიშვილი.

Eh! bon soir! vous voilà! Jamais trop diligente,
Vous nous donnez toujours le plaisir de l'attente.

ზაგორეცი.

ხეალ საღამოის წარმოდგენისთვის
ბილეთი არ გაქვთ?

სოფიო.

არა! არა მაქვს!

ზაგორეცი.

ნება მიბოძეთ, რომ მე მოვაროვათ!
სხვა რომ ცდილიყო თქვენს სამსახურსა,
შრომა ამიოდ ჩაუვლიდა მას.
სამაგიეროდ სად არ ვიტბინე?

მიცელ — ერთიც არ დამხვდა.
თვით დირექტორი დიდ პატივსა მცემს
და მასთან წაველ, როგორც ინათა.
მაგრამ რაღა დროს! წინდლითაც-კი
ველარ იშვევს თურმე ბილეთი!
იმს ვიტაკე, ის ვავაგზავნე,
ხან აქეთ ვეცი, ხან იქით ვეცი,
კველა შევძარი, ყველა მოვქანცე
და ეს ბილეთი ძალად წავაროვი
ერთს ჩემს, მეგობარ მოხუცებულ კაცს:
უიმისოდაც მუდამ სახლში ზის
და, ხეალ რომ დაჯდეს, კითომ რა უშავს!

სოფიო.

დიდადა გმიდლობთ ბილეთისათვის
და ერთი-ორად — მაგ შრომისათვის.

(შემოვლენ კიდევ ვიდაცები. ზაგორეცი კარებთან
მიდის.)

ზაგორეცი.

ახ! პლატონ მიხაილიჩ!

პლატონ მიხაილიჩი.

გამშორდი!

ქალებთან მიღი და იქ იცრუე;

მე შენსე ისეთ სიმართლეს ვიტყვეი,

რომ ვერ უდრიდეს თვითონ სიცრუე. (ჩაცკის)

ჰა, ძმავ, გაიცან: სხვა სიტყვით რომ ვთქვათ,

რას ეძახიან ამგვარ ვაჟბატონს?

ეს ყველგან დადის და გართულია,

ანტონ ანტონიჩ ზაგორეცია...

დიდი ცულლუტი და ავაზაკი

უფრთხილდი, ეს ხომ მეტად ყბედია.

ამასთან ბანქო არ ითამაშო,

თორემ, იცოდე, წმინდად გაგყიდის.

ზაგორეცი.

ახირებული კაცია, თუმცა

სულაც არა აქვს ცუდი განზრანვა.

ჩაცკი.

სასაცილოა, რომ ეისმესაგან

იუკადრისოთ ამგვარი ლანძღვა.

პატიოსნების გარდა სხვაც ბევრი

არის ისეთი, რაც კაცს ახარებს.

აქ თუ გლანძლავენ, სამაგიეროდ

სხვაგან მოისმენთ მადლობის სიტყვებს.

პლატონ მიხაილიჩი.

არა, ძმავ, მაგას რათ ლაპარკობ!

ჩეენში სუკელას ყველგან ლანძღვენ,

მაგრამ თეისეგანვე გალანძღულებსა

სიამოვნებით სახლში იღებენ.

(ზაგორეცი ხალხში შეერევა).

გამოსვლა მეათა

იგინივე და ხლესტოვისა.

ხლესტოვისა.

სამოცდახუთი წლის ქალისათვის

ადგილი არის ამსიშორს მოსვლა?

სატანჯელია, ჩემო დისწულო,
ძლიერ მოვაწყიე, ღონე გამიწყდა.
რა ბრძანება! სიშორის გარდა,
ჯოჯოხეთია ეს ბნელი ღამე!
რომ არ მომწყინდეს — ჩემი ფინია
და ზანგი გოგოც წამოვიყვანე. ⁴⁴
აქამინ რამე, შენ გენაცვალე!
საღამის მშვიდობისა, კნეინა! (დაჯდება)
ოჲ, რა გოგო მყავს, ჩემი სოფიკო!
ზურგკუზიანი და თმახუჭუჭა!
სიანჩხლით სწორედ ველურ კატას ჰვავს,
კუპრივით ზავი და საშინელი...
ღმერთი რაგვარ ხალხს არ აჩენს ქვეყნად!
ნამდვილ ქავია ის საძაგელი!
დაუძახო თუ?

სოფიკო.

ჯერ არა, მერე!

ხლესტოვისა.

წარმოიდგინე, ოსმალთ ქალაქში
ეგენი, თურმე, ხალხთ საჩერებლად
ნადირებივით დაპყავთ ქუჩაში.
მერე და იცით, ვინ მომიკეანა?
ანტონ ანტონის ზაგორეცემა. (ზაგორეცე წინ წამოდა)
მე იმას ერთხანს შინ არ ვუშეებდი!
ქალალდს თამაშობს, ქურდია და ცრუ. (ზაგორეცე
იპარება)

მაგრამ იმდენი მოახერხა, რომ
მეც და ჩემს დასაც გული მოვეიგო.
მოგვევარა ორი ზანგი გოგონა,
სადღაც ჩანარში ვაყიდეო — სოქვა,
მაგრამ ვინ იცის, იყიდა კია?
ბანქოში საღმე თუ იცულლუტა,
მე კი მაჩუქა, ღმერთმა უშველოს!

ჩაცე (ხარხარით პლატონ მიხაილის).
არ იამება ამ ქების შესხმა:
სჩანს, ყურა მოქრა თვით ზაგორეცემა
არ ექაშნიკა და ხალხში გაძერა.

ხლეხტოვისა.

ენა ბრძანდება ეს მხარული?
ან რა კაცია? მითხარი, შეილო!

ხოდეთ.

ისა? ჩაცია!

ხლეხტოვისა.

რა აკისესებს?

და ან რა ნახა აქ სასაცილო!

ბებრის დაცინვა ღიღი ცოდვაა...
ჰო, მახსოვს, მახსოვს, შენ-ბაეშეობაში
მასთან ცეკვაედი და მეც ხანდახან
ხელს წავავლებდი ხოლმე ყურებში.

გამოსვლა მეთორმეტე

იგინივე და ფაშუსოვი.

ფამუსოვი (ხმამაღლია)

კნიაზ პოტრი ილიჩი ველოდებოდი,
და კნიაზი-კი აქა ყოფილი!
მე შევრჩი იქა სურათთა სინჯვას...
სკალოზუბი-კი ჯერ არ მოსულა?
სად არის სერგეი სერგეიიჩი?
ის აქ არსად სჩანს, არა; არ ვცდები!
დიახ, ადეილად შესამჩნევია
სერგეი სერგეიიჩ სკალოზუბი!

ხლეხტოვისა.

ღმერთო, დამიცავ! ნეტავი ამ კაცს
რა მოუვიდა, რომ ასე ყვირისე?
თითქო ყანყრატო საყვირად ექცა!
გამომაყრუა... აღარა მესმის.

გამოსვლა მეთორმეტე

იგინივე და სკალოზუბი, მერე მოლჩალინი
ფამუსოვი.

სერგეი სერგეიიჩ! დაიგვიანეთ!..

ჩვენ-კი თქვენ გელით, გელით და გელით!

(მიჰყავს ხლეხტოვისთან)

ძალუაჩემი გახლავთ, რომელსაც
თქვენზე ბევრი რამ კიდევ ვუთხარი...

სლეხტოვისა (დაჯვდარი)

თქვენ გრენადერის პოლკში იყავით?

სკალოზუბი (ბოხის ხმით).

თქვენ ბრძანებთ მათს უმაღლესობის
ნოვო-ზემლიან მუშაატერის პოლკს.

სლეხტოვისა.

პოლკის გარჩევა მე სულ არ მესმის.

სკალოზუბი.

სხვადასხვა ფორმის მუნდირები აქვთ:
ზოგს პავონებით, ზოგს „პეტლიჩებით“.

ფაშისოვი.

რა სასაცალო ვისტი გავმართეთ.
მობრძანდით, კნიაზ! გთხოვთ, წამოგვევით.
(მიჰყავს სკალოზუბი და კნიაზი).

სლეხტოვისა (სოფიოს).

უა, თითქო ყელზე თოვი მომესსნა.
მამაშენს სწორედ ჭკუა არა აქვს:
ვიდაც ცხრა აღლის სიგრძე კაცს მაცნობს
და მსურს, თუ არა — კი არა მკითხავს!

მოლჩალინი (ბანქოს ადლექს).

თქვენთვის „პარტია“ უკვე მზად არის,
მე, ფომა ფომიჩ, მუსიო კოკი.

სლეხტოვისა (აღგება).

მადლობელი ვარ, ჩემო კეთილო.

მოლჩალინი.

რა ფინი გყავთ! ლამაზი, კარგი.
ბერვი ნამდვილად აბრეშუმს უგავს!

პაწაწინაა და სასაცილო.
სულ ხელს ვუსვამდი და არ იწყინა.

სლეხსტოვისა.

მადლობელი ვარ, ჩემო ძვირფასო.
(მიღის, თან მიჰყება მოლებალინი და ზოგი სხვები).

გამოსვლა მეცაშემძიებრი

ჩაცე, სოფიო და რამდენიმე უცხო პირი, რომელნიც
სცენის გათავებამდე წავლენ-წამოვლენ.

ჩაცე.

აი განფანტა შავი ლრუბლები...

სოფიო.

არ შეიძლება, რომ არ განაგრძოთ?

ჩაცე.

მრისხანე ქალი რომ დაამშერდა,
მინდოდა მექო... ოქენე რისთვის შიშობთ?

სოფიო.

იქ ქებას გესლით დაათავებდით!

ჩაცე.

რასა ვფიქრობდი, გითხრათ მართალი?
მოხუცი ყველა ავგული არის
და უმეტესად — მოხუცი ქალი,
თქვენ უნდა გყავდეთ მოხერხებულა
მოსამსახურე! საჭირო არი,
რომ განრისხებულთ უფაროთ, გითა
მებთაამრიდი ჩეინის ისარი.
მოლებალინი, მაშ სხეა ვინ შეიძლებს
ასე ადვილად მათს დამშვიდებას?
აქ ბანქოსათვის მიიპატიუებს,
აქ მოუყვება ფინის ქებას.
აგი უკვდავი ზაგორეცებია!

აქეენ მოლჩალინის ბეერი თეისება
მითხარით წელი, მაგრამ მრავალი
დაგვიწყებით! ასეა, განა? (გადის).

გამოსმლა მათოთხმით

სოფია, მერე ბატონი N

სოფია (თავისთვის).

ოჲ! ეს კაცი მე მუდამ მაშტოთებს.
რარიგ იხარებს სხვის დამცირება!
შურიანია, ამპარტავანი
და როცა სხვას ჰქონის, იმითი ტკბება!

ბატონი N. (მიუახლოვდება).

ფიქრში ბრძანდებით?

სოფია.

ჩაციშე ვფიქრობ.

ბატონი N.

მგზავრობის შემდეგ როგორ გეჩვენათ?

სოფია.

ის აღარ არის თვის ჰქუაზე.

ბატონი N.

ნუთუ გაგიერა?

სოფია (კოტა ხნის შემდეგ).

არც თუ სრულიად...

ბატონი N.

ეტყობა რამე?

სოფია (დაშტერებით მისჩერებია მას).

მე-კი მეონია!

ბატონი N.

ასე ყმაწვილ კაცი? როგორ იქნება!..

სოფია.

როდა უნდა ვქნათ! (განხე) ამასაც სჯერა!
აი ესეც ოქეენ, ბატონო ჩაციო...



თქვენ ხომ ის გოყვართ, რომ სხვებს დასკინოთ!
ახლა არ გნებავთ ეს დაცინება
და დამცირება თვითონ იგემოთ? (გადის).

გამოსცლა მითხვითი
ბატონი N., მერე ბატონი D.

ბატონი N.

გაგიქებულა!.. ამას პერნია?
უთუოდ... აბა საიდან შესთხზა?
არ გაგუგია?

ბატონი D. რა?

ბატონი N.

რა და ჩაცია!

ბატონი D.

რა დაემართა?

ბატონი N.

გაგიქებულა!

ბატონი D.

ტყვილია.

ბატონი N.

სხვები ლაპარაკობენ.
მე ჩემთ-კი არ მომიგონია!

ბატონი D.

შენც სიხარულით აერცელებ ყველგან?

ბატონი N.

წავალ, შეიტყობ, რა ამბავია,
უთუოდ ვინმეს ეცოდანება. (გადის).

გამოსცლა მითხვითი

ბატონი D., მერე ზაგორეცი.

ბატონი D.

დაუჯერე ყბედის! ჭორს გაიგონებს
და ამ სულელსაც ნამდვილად სჯერა!
შენ გაიგონე რამე ჩაციოშე?

ზაგორეცი.

რაო?

ბატონი D.

რაო და გაგიუებულა!

ზაგორეცი.

პო, ვიცი, მახსოვეს, გამიგონია.
როგორ არ ვიცი! რა საქმე მოხდა:
ცბიერმა ბიძამ შეშლილად იცნო
და ის საწყალი გრუებთან ჩასვა!
წაავლეს ხელი, ყვაოელ სახლისკენ
გააქანეს და ჯაჭვით დაბეს!..

ბატონი D.

რას ბრძანებთ! ის მე წელან აქ ვნახე!

ზაგორეცი.

მაშ, როგორცა სჩანს, ჯაჭვიდან ახსნეს.

ბატონი D.

არა, ძმავ, შენი მე არა მჯერი!
წავალ ამ წუთში, ფრთებს გამოვისხამ,
ყველასთან მიერალ, სათეოთეულოდ
და საიდუმლოდ გამოვიკითხავ. (გადის).

გამოსცდლა მეჩიდიდმიტი

ზაგორეცი, მერე გრაფინია
შვილი შვილი.

ზაგორეცი.

აქ რომელია ჩაცი? მითხარით!
ერთ ღრას ვიცნობდი რომელრაც ჩაცის.
გაიგეთ რამე?

გრაფინია შვილი შვილი.

ვისწე?

ზაგორეცი.

ჩაცის ამ რთაში იყო წელან ის.

გრაფინია შვილი შვილი.

ვიცი, ჩვენ ერთად ვლაპარაკობდით.

ზაგორეცე.

მაში მიმილოცავს... შესပდა ჰერაზე!

გრაფინია შვილიშვილი.

რას ამბობთ?

ზაგორეცე.

დიან, სწორედ გაგიედა.

გრაფინია შვილიშვილი.

წარმოიდგინეთ, რომ მეც შევატყი...

საკვირველია: რასაც ვფიქრობდი,

თქვენმა სიტყვებმა დაადასტურეს.

გამოსვლა მეოთხამეტი

ივინვე და გრაფინია ბებია.

გრაფინია შვილიშვილი.

Ah, grand maman! იცით, რა მოხდა

და რანატი უბედურება?

ყური დაუგდეთ ამ ახალ ამბავს!..

თ კარგი რამ, მშევნიერება!..

გრაფინია ბებია.

ჩემო ძეირფასო, სმამალლა მითხარ,

ყურში ბამბა მაქს, არ მეუყრება!

გრაფინია შვილიშვილი.

არა მცალიან, წავალ, შევიტყობ! (უჩერენებს ზაგორეცეზე)

თქვენ კი ყველაფერს ქს მოვიყვება. (გადის).

გამოსვლა მეცხამეტი

ზაგორეცე და გრაფინია ბებია.

გრაფინია ბებია.

რა მოხდა? ცეცხლი ხომ არსად გაჩნდა?

ზაგორეცე.

ჩაცეიმ ჩაგვაგდო ჩვენ ამ სიცხეში.

გრაფინია ბებია.

როგორ? ვინ ჩასვა ჩაცე ციხეში?

ზაგორეცი.

იყო დაჭრილი ის ერთხელ შუბლში
და ჭრილობისგან გადარეცულა.

გრაფინია ბებია.

რაო? ფარმაზონთ ⁴⁵ ეწვია ქლუბში?
შემდეგ, რას ამბობ? გათათრებულა?

ზაგორეცი.

მე ეერ შევასმენ ამას ვერაფერს! (მიღის)

გრაფინია ბებია.
